№ 124

პარასკევი, 22 ივლისი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

1877—1905

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 124

პარასკევი, 22 ივლისი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 20 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

საჯარო ბიბლიოთეკა

დღევანდელ ნომერთან ერთად ქალაქ გარეშე ხელისმომწერლებს

ურიგდებათ პრემია ,,ივერიის ბიბლიოთეკა‘‘ № 2.

შინაარსი: 1) **დაუპატიჟებელი** მორის მეტერლინკისა;

2) **სხვათა შორის**, მოთხრობა ია ეკალაძისა;

3) ხალხის წარმომადგენლობა და საარჩევნო უფლება გორგასლიძისა.

ქალაქის ხელის მომწერლებს ეს პრემია კვირას დაურიგდებათ.

ახალი წიგნი

ეროვნული ენა

თხზ. პეტრე სურგულაძისა

გამოცემა „ცისკარისა“ № 2.—ფასი 15 კაპ.

დაიბეჭდა და იყიდება „ივერიის“ რედაქციის კანტორასა და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

მ. ყ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

გ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ზ. ა. თარხანოვი—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. გ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ხ. ქ. აბიანცი—შინაგან ავადმყ. 7—8 საათ.

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.

ხ. ტ. არშანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშნვით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი ქ. გძელიშვილი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე, იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და გარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18 —იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 91.

ვაწაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

ახალი წიგნი

გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში, აგრეთვე „ივერიის“ რედაქციაშიაც

ნაწერები

პეტრე უმიკაშვილისა

გამოცემა „ცისკარი“-ს ამხანაგობისა.

წიგნში ჩართულია ავტორის სურათი და რამდენიმე ილუსტრაცია.

ფასი 30 კაპ.

დაიბეჭდა და ისყიდება ახალი წიგნი

ბრძოლა არსებობისთვის

დრამატიული პოემა 4 მოქ. და 7 სურათად

და სხვადასხვა ლექსები და პოემები დ. გაბრუაშვილისა. ისყიდება წერა-კით. გამ. საზოგ. და სხვა წიგნის მაღაზიებში. ფასი 60 კ. (30—6—18)

ერობა და ადგილობრივი ბიუჯეტი

ყოველ საზოგადოებრივ ორგანიზაციის საუკეთესო დამახასიათებელია ბიუჯეტი.

რა წყაროდან იკვებება ესა თუ ის დაწესებულება, როგორ ნაწილდება მისი შემოსავალი ან რაზე იხარჯება იგი—აი, ამ კითხვების გარკვევა არსებითად, საფუძვლიანად, გვიჩვენებს თვით ამ დაწესებულების ხასიათს, მის ძალასა და მიმართულებას. აქედანვე დავინახავთ, თუ რამდენად იგი დემოკრატიულია, ხალხის ინტერესების დამცველია.

ერობა, როგორც ადგილობრივი თვითმართველობა, საერთო ორგანიზაციაზეა დამოკიდებული. რამდენად სახელმწიფო თავის საზოგადო საქმეებს კარგად უძღვება, რამდენად იგი მომჭირნეა და ხალხს გადასახადებით ნაკლებად ტვირთავს, იმდენად ადგილობრივ თვითმართველობისთვისაც ადვილი ხდება თავის მიზნის მიღწევა.

ამ მხრივ რომ შევხედოთ საქმეს, დღევანდელ რუსეთში მეტად საძნელოა ერობის მოქმედება. ამის ძირითადი მიზეზი აქ ერთია: სახელმწიფოს ორგანიზაცია არ შეეფერება სახალხო ინტერესებს. დღემდის ისეა საქმე მოწყობილი, თითქო ბიუროკრატია ხალხის სასამსახუროდ კი არაა მოწვეული, პირიქით, თითქო თვით ხალხი გაჩენილი ყოფილიყოს ბიუროკრატიისთვის. რუსეთში ხალხისთვის მეტად საგრძნობელია გადასახადები, განსაკუთრებით არა-პირდაპირი გადასახადები. ბაჟი ადევს სახალხო ხმარების ისეთ საგნებსაც, როგორიც, შაქ., ჩაი, ურომლისოდაც რუსეთში ხალხს ცხოვრება არ შეუძლია.

ბაჟის დადება საქონლის ფასის აწევას ნიშნავს, ხოლო ფასის აწევა, საქონლის გაძვირება—ხმარების შემცირებას იწვევს ყოველთვის. ეს შემცირება, ყოველთა უწინარეს, შეეხება, რასაკვირველია, ხალხის შეუძლო ნაწილს, ესე იგი უმრავლესობას. ამიტომ გადასახადების გაწერის წესს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხისთვის. შეიძლება, ეს წესი ისეთი იყოს, რომ ხალხის უმრავლესობა შეავიწროვოს, ცხოვრება გაუძვიროს მას და ისედაც დაძაბუნებული კიდევ უფრო დააძაბუნოს. გადასახადის სიმრავლე და გაწერის არსებული წესიც ხალხის, უმრავლესობის წინაამდეგია,—მისთვის საზარალოა.

იგივე ითქმის თვით სახელმწიფო შემოსავლის დახარჯვაზედაც.

სახელმწიფოს უდიდესი ხარჯი მიუდის სამხედრო საქმის გასაძლოლად, ისეთი საქმეები კი, როგორიცაა სახალხო განათლება, გინდ სახალხო მკურნალობა, სრულიად მივიწყებული რჩება. ამ საქმეებზე იმდენად მცირედი რამ იხარჯება, რომ სახსენებელიც არ არის.

ამნაირად, სახელმწიფოს გადასახადის სახით ხალხისგან დიდძალი ფული მიაქვს, ამ გადასახადის გაწერის წესი ხალხის ინტერესების წინაამდეგია, და შეგროვილი სიმდიდრეც უმთავრესად იხარჯება ისეთს საგნებზე, რომელიც ხალხის ინტერესებს ან პირდაპირ ეწინააღმდეგება, ან მცირედად ემსახურება. ასეთის წესის მეოხებით, ხალხი რუსეთში თანდათან ღარიბდება, ვერ სარგებლობს თავისი შრომით, ამ შრომის ნაყოფს ფლანგავს ბიუროკრატია.

ასეთ პირობებში არც ერთს ადგილობრივს თვით-მართველობას, განსაკუთრებით კი ერობას, არ შეუძლიან ხალხის ინტერესებს პირნათლად, სერიოზულად ემსახუროს. რამდენადაც ხალხი საერთო, სახელმწიფო გადასახადით დატვირთული იქმნება, იმდენად ძნელია მისთვის ადგილობრივ საქმეებისთვის რისიმე დახარჯვა.

თუ შეძლება არ ექმნა, ერობა ვერაფერს გააკეთებს, და ამიტომ ერობა, როგორც ადგილობრივი თვითმართველობა, თავის რეალურ მოქმედებაში განსაზღვრულია ხალხის სიღატაკით, რომელსაც იწვევს სახელმწიფო მეურნეობის მიმართულება. ერობამ აქ დემოკრატობა რომ დაიჩემოს, თავს მოატყუებს; სახელმწიფო მას აღატაკებს, ის კი ვერ შესძლებს ამ სიღატაკეს ებრძოლოს. ამნაირად, ერობის ბიუჯეტი განსაზღვრულია საერთო სახელმწიფო ბიუჯეტის რაოდენობით.

ამ განსაზღვრულ ბიუჯეტშიაც ერობას თავისებურობა დაეტყობა. თანამედროვე საზოგადოებრივი ორგანიზაცია თავის ელფერსა სდებს ყოველ დაწესებულებას, რომელიც კი ამ ორგანიზაციაში გაჩნდება. ახლანდელ პირობებში ერობის ბურჟუაზიული ხასიათი ყოველ ეჭვს გარეშეა. დიდი შეცდომა იქნება ვიფიქროთ, რომ იმ საზოგადოებაში, რომელიც თავიდან ფეხებამდე ბურჟუაზიულია, ერთმა რომელმამე ორგანიზაციამ შესძლოს სხვა ხასიათი მიიღოს. მიუხედავად ამისა, ერობა, როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაცია, გაცილებით უფრო ახლო იქმნება ხალხთან, გაცილებით უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევს და მეტის ხალისით მოისურვებს ემსახუროს ხალხის ინტერესებს, ვიდრე დღევანდელი ბიუროკრატია. ჩვენში, მაგალითად, ერობა დღემდისაც არაა, მაგრამ საერობო გადასახადი კი იკრიბება. მერე როგორ იხარჯება ეს გადასახადი? პასუხს თვითონ ცხოვრება იძლევა. ჩვენ მოწყობილი არაფერი არა გვაქვს, არა გვაქვს გზები, არა გვაქვს ქსენონები, არა გვყავს ექიმები. წარმოიდგინეთ ასეთი სათაცრება, მთავრობამ მთელს სვანეთს ერთი ექიმი დაუნიშნა. მერე არ იფიქროთ, რომ ეს ექიმი სვანეთში ცხოვრობდეს! არა, ის თითქმის მთელს წელიწადს ქუთაისში ატარებს. მთელი მხარე კი უექიმოდ რჩება. ასეთია ბიუროკრატიის სამსახური! არა გვაქვს სკოლები, არა გვაქვს სამკითხველოები.

ადგილობრივ ხალხს არა აქვს არავითარი ორგანიზაცია, რომელიც მას საშუალებას აძლევდეს თავის ინტერესებს ემსახუროს თვითონვე. ერობის შემოღება ნიშნავს ამ ნაკლის რამოდენადმე აცდენას. დღეს რომ ხალხის სიმდიდრე ჩუმად, უანგარიშოდ, ხშირად ხალხის ინტერესების წინააღმდეგ იფლანგება, მაშინ ასეთი წესი მოისპობა. მოისპობა ხალხის შეძლების უკონტროლოდ და უკრიტიკოდ გაფანტვა. ხალხს უფლება მიეცემა რამოდენადმე მაინც თვალყური ადევნოს და თავის ნებაზე გამოიყენოს თავისი შეძლება.

პ. სურგულაძე.

* * *

სახელმწიფო ბანკის მოქმედება და ქაღალდის ფული

ამჟამად ყველა დიდ დ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს რუსეთის სახელმწიფო ბანკის ბალანსებს.

მართლაც, ახლა მთავრობამ აუარებელი ქაღალდის ფული დაბეჭდა. უწინ ხმარებაში ყველგან ოქრო რომ იყო შემოღებული, სახელმწიფო ბანკი და ხაზინა მხოლოდ ოქროს ფულს იძლეოდა და ხშირად ქაღალდის ფული ძნელი საშოვნელიც ყოფილა. ახლა ოქრო თითქმის აღარსად არის, ახალთ-ახალი ქაღალდის ფული ოქროს ფულის მაგიერობას ეწევა.

რა საჭირო იყო ამდენი ქაღალდის ფული? სახელმწიფო ბანკს უფლება აქვს მინიჭებული, საჭიროების დაგვარად, როდესაც აღებ-მიცემობა გაცხოველებულია, ქაღალდის ფული გამოსცეს, რომელიც ამნაირ შემთხვევაში ვერავითარ ვნებას ვერ მოუტანს სახელმწიფო ბანკს და სახელმწიფო ხაზინას.

ახლა კი სახელმწიფო ბანკის ბალანსები აშკარად ხდიან, რომ ვაჭრობა რუსეთში შემცირდა, სახელმწიფო ბანკმა შესამჩნევად შეამცირა ფულის გაცემა ვაჭრებზე, თამასუქების განაღდება, გირაოს მიღება. ამიტომ ცხადია, რომ ქაღალდის ფულის მომატებას სულ სხვა მიზეზი უნდა ჰქონდეს და არა ვაჭრობის გაცხოველება.

ეჭვი არ უნდა იმას, რომ ეს ახალი ქაღალდის ფული საჭირო შეიქმნა სახელმწიფოს აუცილებელ ხარჯების დასაფარავად. ომის დაწყებისას სახელმწიფო ბანკში რამოდენიმე ასი მილიონი ნაღდი, თავისუფალი ფული ჰქონდა მთავრობას,—ეს ფული შთანთქა ომიანობამ, რომელიც დღესაც არ შეწყვეტილა, დღესაც ახალ ხარჯს მოითხოვს, ვინაიდან ჯარს კვება სჭირია, ჯარის შენახვა დიდი ფული ჯდება და ფული კი ხაზინაში გადასახადის სახით ნაკლებად შემოდის, ვინაიდან აუარებელი მშრომელი ახალგაზდა და ოჯახის პატრონი ჯარში გაწვეულია, ოჯახსა და შრომას მოშორებული... ცხადია, რომ დანაკლისი ქაღალდის ფულის გამოცემით უნდა შევსოს ხაზინამ...

ამას გარდა, ომის დაწყებისას მთელი თავისუფალი ოქრო რუსეთშივე ჰქონდა ხაზინას, საზღვარგარეთ 25—50 მილიონ მანათისა თუ იყო, დღეს კი საზღვარ-გარეთ 176 მილიონი მანათი ოქროა გადასული და ამნაირად დღეს ქაღალდის ფულის ფასი ნაღდი ოქროთი იმდენად არ არის უზრუნველყოფილი, როგორც ომის დაწყების დროს ყოფილა. მიზეზი აქაც სახელმწიფო საჭიროებაა, აქაც სახელმწიფო ბანკმა მთავრობის პოლიტიკის სამსახურს ანაცვალა თავისი ინტერესები.

მთავრობისთვის და ხალხისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ ქაღალდის ფული შინ და გარეთაც იმ ფასში გადიოდეს ყოველთვის, რა ფასსაც მას მთავრობა არქმევს, რომ ეს ფასი მუდამ შეუცვლელი რჩებოდეს. მაგრამ ქაღალდის ფულს უეჭველად ეკარგება ფასი, როდესაც ნაღდი ოქროც საკმარისად არ არის სახელმწიფოში, როდესაც სახელმწიფო ბანკი მტკიცე ნიადაგზე არ აგებს თავის ოპერაციებს, როდესაც ამ ბანკში რამე დიდი, შესამჩნევი ზარალია მოსალოდნელი.

მოსალოდნელი კი არის ზარალი იქ, სადაც ბანკი ვაჭრების თამასუქების განაღდებაზე უარს აცხადებს და ასი ათას მანათობით, ხშირად მილიონობითაც ეხმარება სხვადასხვა მექარხნეს, ქველ-მოქმედებას ეწევა, სცდილობს ფეხზე დააყენოს გაკოტრებული მრეწველები და ამასობაში ფულს ზარალობს თვითონ და შესაძლებლად ხდის ქაღალდის ფულის გაიაფებასაც.

სახელმწიფო ბანკი ისეთივე ბანკია, როგორც ყოველივე სხვა საკრედიტო დაწესებულება სახელმწიფოში, მისი დანიშნულებაა—ხელი შეუწყოს ფულის წესიერ ტრიალს ხალხში, გააადვილოს ქაღალდის ფულის შემოღება, ვ ჭრობამრეწველობის განვითარება. განსაცდელში ვარდება ბანკი, როდესაც სიფრთხილეს გზას აუხვევს და საქმეს პოლიტიკის თვალითაც შეხედავს. რა გასამართლებელი საბუთი აქვს, მაგ., იმ გარემოებას, რომ სახელმწიფო ბანკი 4% სახელმწიფო რენტის დამგირავებლებს 6% ართმევს, სხვა სახელმწიფო ფასიან ქაღალდების დამგირავებლებს კი 6½%? მიზანი ცხადია, უნდათ, რაც შეიძლება, მეტი 4% რენტა შეგროვდეს ბანკში, არ გამოდიოდეს ამიტომ ბირჟაზე და არ იაფდებოდეს ბაზარზე გატანით. უნდათ ხელოვნურად შეურჩიონ რენტას მისი ფასი და ივიწყებენ, რომ ამით სახიფათო მდგომარეობაში ვარდება თვით ბანკი და ძირი ეთხრება ხაზინის კრედიტსაც...

სახელმწიფო ბანკი თვითონაც ყიდულობს რენტას, ყიდულობს სახელმწიფო ფასიან ქაღალდებს,—ამასაც იმავე მიზნით სჩადის,—მათ ფასის ასაწევად ბაზარზე, აქაც მის მოქმედებას მთავრობის პოლიტიკა უდევს სარჩულად.

შეიძლება, რასაკვირველია, ადამიანმა გულგრილად შეხედოს იმას, რომ სახელმწიფო ბანკი უანგარიშოდ უმატებს ქაღალდის ფულის რაოდენობას რუსეთში; შეიძლება ზოგიერთი ვერც გრძნობდეს, თუ რა მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ქაღალდის ფული საჭიროზე მეტი გამოდის ბაზარზე. შეიძლება სწორედ ამ გაუგებრობის ან გულგრილობის იმედიც ჰქონდეს სახელმწიფო ბანკს, როდესაც თავის წესდების წინააღმდეგ ქაღალდის ფულს ბეჭდავს საერთო ხარჯების დასაფარავად... ვინ იცის! ის კი ცხადია, რომ სახელმწიფო ბანკის ამნაირ მოქმედებას უკვე ყურადღება მიაქცია საზოგადოებამ როგორც რუსეთში, ისე საზღვარ-გარედაც; რუსული გაზეთები სავსეა ცნობებით სახელმწიფო ბანკის მოქმედების შესახებ, ყველა გაზეთში არჩევენ ამ ბანკის ბალანსებს და რწმუნდებიან, რომ ბანკის ახლანდელი მიმართულება საზარალო შეიქმნება ხალხისთვის, ვინაიდან ქაღალდის ფულის გაიაფება ძირს უთხრის ისედაც გაღარიბებულ ხალხის კეთილდღეობას.

აკი საზღვარ-გარედ რუსეთის კრედიტი უკვე შეირყა. რუსეთის მოკავშირე საფრანგეთმა ფულის სესხებაზე განაცხადა უარი და რუსეთი ხარჯების დასაფარავად იძულებული შეიქმნა შინაური სესხი ორჯელ გამოეცა ზედი-ზედ, მაგრამ ეს ორივე სესხი უსარგებლო გამოდგა. ხალხმა ვერ გამოიღო საჭირო ფული, ახლად გამოცემული ბილეთები გაინაწილეს დიდმა ბანკებმა და ყველა ისეთმა დაწესებულებამ, რომელიც, ასე თუ ისე, სახელმწიფო ბანკზეა დამოკიდებული, რომელსაც უნდოდა ამ ბილეთების ყიდვით სახელმწიფო ბანკის მმართველთა გული მოეგო და სახელმწიფო ბანკში კრედიტი გაეხსნა. ამნაირად, სესხის სახით შემოსული ფული ისევ ამავე ბანკებზე გასაცემი შეიქმნა და ომის საჭიროებისათვის კი თითქმის აღარაფერი გადარჩა.

ამიტომ ხაზინამ ისევ საზღვარ-გარეთს მიმართა, გერმანელებში სესხად უნდოდა ფულის შოვნა, მაგრამ ვერ მოახერხა, და ბოლოს, როგორც იქმნა, დაუგირავა გერმანელ კაპიტალისტებს სხვადასხვა ფასიანი ქაღალდი და ამ გირაოში მიიღო ფული.

გირაოთი სახელმწიფოსაგან ფულის სესხება მის კრედიტის შემცირების უტყუარ ნიშნადაა მიჩნეული. სწორედ ამის შედეგია, რომ ნაღდი ოქრო 176 მილიონ მანათისა საზღვარ-გარედ გადავიდა,—ესეც კრედიტის შესარჩენად შეიქმნა საჭირო.

ახლა ხომ იაპონიასთან ზავის ჩამოგდებას აუარებელი ფული დასჭირდება, რომელიც ისევე სესხით უნდა იშოვნოს რუსეთმა და ამ სესხის ყოველ წლიური გადასახადი, ალბად, 70—80 მილიონ მანათს აღემატება.

საიდან უნდა იშოვნოს მთავრობამ ეს ფული? ისევ ქაღალდის ფულის დაბეჭდვით? არა! ქაღალდის ფული ახლაც ბევრია, საჭიროზე მეტია გამოცემული, ახლაც სახიფათო მდგომარეობაშია ჩავარდნილი რუსეთის კრედიტი...

ცხადია, რომ საჭირო ფულის შოვნა, შერყეულ კრედიტის აღდგენა, აწეწილ-დაწეწილ საფინანსო საქმეების მოწესრიგება, შეიძლება მხოლოდ საფინანსო პოლიტიკის ძირიანად შეცვლით, საზოგადო ცხოვრების ახალ კალაპოტში ჩაყენებით, იმ რეფორმით, რომლის შესრულებაც არ ძალუძს ახლანდელ ბიუროკრატიას...

მაშ რა ქმნას ხალხმა?

გულ-გრილად უყუროს იმას, როგორ ეცლება ძირი მის კეთილდ-ღეობას, როგორ ითხრება ის უფსკრული, რომელმაც უნდა შთანთქას ხალხის ქონება?

ხმა არ ამოიღოს, თითი არ გაანძრიოს, განზე გამდგარი იყოს მუდამ, თუ...

ი. ლ—ძე.

* * *

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

20 ივლისი.

კანეა, 20 ივლისი. კანდიაში, რომელშიაც ინგლისის მეციხოვნე ჯარი სდგას, სამხედრო წესები გამოაცხადეს და სასტიკი ცენზურა დააწესეს დეპეშებისა, გაზეთებისა და წერილებისათვისაც კი. მდგომარეობა დღითი-დღე მწვავდება.

პარიზი, 20 ივლისი. დუბე მონტელიმარს წავიდა. ბერტომ ხელი მოაწერა დეკრეტს, რომლითაც მთავარ-შტაბის უფროსად დაინიშნა გენერალი პერსენი, პენდეზეკის მაგივრად, რომელიც უმაღლეს სამხედრო საბჭოს წევრად დანიშნეს.

სტამბოლი, 20 ივლისი. სულთანის მოკვლის განზრახვის საქმის გამოძიება სწარმოებს, მაგრამ ამაოდ. ამბობენ, სწორედ იმ დღეს სტამბოლიდან სადღაც გაჰქრა ერთი რუსი სახელად რაპსი, რომელიც ავსტრიელ მორავიითან ცხოვრობდა.—საელჩოები არ ეშვებიან და ამტკიცებენ, რომ მაკედონიის ფინანსების კონტროლი საჭიროა და უეჭველად, რომ პორტა ამ რეფორმას წინ ეღობება.

ბელგრადი, 20 ივლისი. სკუპშჩინაში მთავრობის მომხრე უმცირესობაა. სამინისტრო სამსახურს თავს არ ანებებს.

მოსკოვი, 20 ივლისი. შაჰოვი შორეულ-აღმოსავლეთს წავიდა.

ახხაბადი, 20 ივლისი. ამიერ კასპიის მხარეში გამოცხადებულ იქმნა გაძლიერებულ დაცვის წესები ერთი წლით.

კრონშტადტი, 20 ივლისი. როგორც ინგლისური გაზეთები იუწყებიან, ჰამბურგიდან გამოვიდა გემი „ენისეი“ და გზათა მინისტრის-მიერ ნაყიდი ორი გემი „კრასნოიარსკი“ და „ენისეისკი“.

ტომსკი, 20 ივლისი. მოსავალს კარგი პირი უჩანს.

ნოვოჩერკასკი, დონზე ხორველის მოლოდინის შიში უსაფუძვლო გამოდგა. გარდაწყვეტილია 15 აგვისტოდან 1 სექტემბრამდე დაითხოვონ ხორველასთან საბრძოლველად მოწვეული ფერშალ-ექიმები.

მინსკი, 20 ივლისი. მაზრის მარშალმა შთამომავლობით თავად-აზნაურთ მოსთხოვა ცნობები გუბერნიის თავად-აზნაურთა არჩევნებში მონაწილეობის მიმღებთა სიების შესადგენად.

თეოდოსია, 20 ივლისი. ვილნოს პოლკის ჯარის კაცს მოჩედლობერს, რომელმაც პოლკის უფროსის კარცევის მოკვლა განიზრახა, სამხედრო სასამართლომ ჩამოხრჩობა მიუსაჯა.

ლონდონი, 20 ივლისი. ლონდონის სავაჭრო პალატის სხდომაზე ლორდმა ლობერტსმა ისარგებლა შემთხვევით, რომ გაეფრთხილებინა თავისი თანამემამულენი, რათა თავიდან აიცილონ ის საფრთხე, რომელიც მოსალოდნელია მხედრობის მოუმზადებლობის გამო. არამც თუ ომისაგან, არამედ ბირჟაზე უბრალო შიშიანობისაგანაც დაგვიხსნის მხოლოდ კარგად მოწესრიგებული მხედრობა და არა დიპლომატია; ხოლო თუ ინგლისის მხედრობა კარგა მოწესრიგებული იქმნება, მაშინ ვერც ერთი სახელმწიფო ვეღარ გაბედავს ინგლისთან ომს; პირველი თავში-სცემი საქმეა ათიათასთა ნაკლებულობა. აუცილებლად საჭიროა, ეს საქმე ახლავ გარდასწყვიტოთ და მხედრობა ისე მოაწესრიგოთ, რომ სამშობლოს დაცვა თამამად შეეძლოს, თორემ უმისოდ ინგლისს ხელიდან გამოეცლება ის ადგილი, რომელიც ახლა უჭირავს ევროპის დიდ სახელმწიფოთა შორის—ადგილი პირველ-ხარისხოვან დიდ სახელმწიფოსი.

პეტერბურგი, 20 ივლისი. ქალაქის უფროსის ნებართვით, მანდორში კრება ჰქონდათ პუტილოვის ქარხნის მუშებს, თავიანთ უკიდურეს მდგომარეობის შესახებ მოსალაპარაკებლად. აირჩიეს საგანგებო დეპუტაცია, რომელსაც მიანდეს, იშუამდგომლოს ქარხნის ადმინისტრაციის წინაშე, რომ ქარხანაში მუშაობა ისევ განაახლონ და მუშებს ზოგი რამ დაუთმონ. კრება მშვიდობიანად გათავდა, პოლიცია და ჯარი არ ჩარეულა. მუშებმა ბოქაულის პირით მადლობა გადაუხადეს ქალაქის უფროსს ერილობის ნების დართვისთვის.

პარიზი, 19 ივლისი. რუვიემ გერმანიის ელჩს რადოლინს მაროკოს კონფერენციის პროგრამის შესახებ საფრანგეთის წინადადება წარუდგინა. უმთავრეს შტაბის უფროსი პენდეზეკი სამხედრო საბჭოს წევრად დაინიშნა, სამხედრო აკადემიის ყოფილი უფროსი—უმთავრეს შტაბის უფროსად. გენერალი დიუბანკური, რომელმაც სამხედრო სასამართლოს რესპუბლიკის საწინააღმდეგო ჩვენება მისცა, შალონის კომენდანტად დაინიშნა.

ლონდონი, 19 ივლისი. გუშინ რობერტსმა სთქვა: ჯარი ვერც ერთ განათლებულ სახელმწიფოს ვეღარ იომებს, ეს ტრანსვაალის ომმა დაგვიმტკიცა. ინგლისს რომ რუსებთან ავღანისტანში ომი მოუხდეს,

რუსეთის ნახევარ მილიონიან ჯარის წინააღმდეგ ინგლისი მხოლოდ ორას ათასი კაცის მეტს ვერ გაიყვანსო. ამასთანავე საჭიროა, რომ ოფიცერთა რიცხვი შვიდ ათასამდე ავიდესო.

მოსკოვი, 19 ივლისი. გენერალ-გუბერნატორი დურნოვო აქ 27 ივლისს მოვა, შიპოვი შორეულ აღმოსავლეთში წავიდა. უნივერსიტეტში თხოვნები ჩვეულებრივად შეაქვთ.

ლონდონი, 20 ივლისი. ლორდთა პალატაში ინდოეთის ჯარის მართვა-გამგეობის სისტემის განხილვას შეუდგნენ. ლანსდოუნი სამხედრო მართვა-გამგეობის არსებულ სისტემის გადასინჯვას საჭიროდ ხედავს.

სტოკჰოლმი, 20 ივლისი. შესდგა ახალი საკოალიციო სამინისტრო. პრეზიდენტი ლუნდბერგია, გარეშე საქმეთა მინისტრი—ვახმეისტარი, იუსტიციის მინისტრი—ბერგი, სამხედრო—ტინგსტენი, საზღვაო—ლონდმანი, შინაგან საქმეთა—ვიდენი და ფინანსთა—ბიზერტი.

კოპენჰაგენი, 20 ივლისი. იმპერატორმა ვილჰელმმა დანიის მინისტრ-პრეზიდენტს და გარეშე საქმეთა მინისტრს ორდენები დაურიგა და პრინცი აროლდი დაჰპატიჟა იმ აღლუმზე, რომელიც მიმდინარე წელს გერმანიაში უნდა მოხდეს.

დონის როსტოვი, 20 ივლისი. სტამბებში მუშაობა განახლდა, გაზეთები გამოვიდა, ქარხნებში მუშაობა დაიწყეს.

ორიოლი, 20 ივლისი. ქალაქის მოურავად ვეტერინარი ყავოპისცოვი ამოირჩიეს.

ყაზანი, 20 ივლისი. გაზეთების სიტყვით, ქალაქის საბჭოს-მიერ აღძრული შუამდგომლობა ხალხის შეკრებისა და ტეხნიკურ საკითხების გამორკვევის გამო, მინისტრთა კომიტეტს უყურადღებოდ დაუტოვებია.

პეტერბურგი, 20 ივლისი. გაზეთების ცნობები, ვითომც სამინისტროს აზრად ჰქონდეს ეხლახან წუმწუმაზე დადებულ გადასახადის შემცირება, სიმართლეს მოკლებულია.

ლონდონი, 20 ივლისი. ბალტიის ზღვაში ესკადრის გაგზავნის გამო „დეილი ნიუზი“ პროტესტს აცხადებს.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები.

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

20 ივლისი

რომი, 20 ივლისი. სარწმუნო წყაროებიდან გადმოგვცემენ, კომურამ ინსტრუქცია მიიღო,—კონტრიბუციაზე ძალას ნუ დაატანთ და ვიტტეს წარუდგინეთ მხოლოდ დაწვრილებითი ანგარიში ყველა იმ სამხედრო ხარჯებისა, რომელიც ზავის დაწყებამდე მოგვსვლიაო.

ნიუ-იორკი, 20 ივლისი. რწმუნებულთა მიღების პროგრამა შემუშავებულია. უფროსობის საქმე რუსთა სასარგებლოდ გადასწყდა. ორისავე მხარის რწმუნებულნი ორშაბათს, 10 საათზე, პორტსმუტს მივლენ. ადგილობრივ გემთ-საშენებელ ნავთ-სადგურის კომენდანტმა ჯერ რუსეთის რწმუნებულნი ინახულა, შემდეგ იაპონიისა თავ-თავიანთ გემებზე. 11 საათზე შედლუხი იქნება, შემდეგ ადმირალთან საუზმეზე წავლენ და აქედან გაემგზავრებიან პორტსმუტს, სადაც მათ მიეგებებიან გუბერნატორი და ნიუჰემპშირის პარლამენტის წევრნი. აქედან ორისავე მხრის რწმუნებულნი სასტუმროში წავლენ. გემ „კაიზერ ვილჰელმ“-მა გუშინ უმავთულო დეპეშით გვაცნობა,—ნანტუკაოდან 80 ინგლისურ მილის მანძილზე ვარ და დღეს, ნაშუადღევს, ნიუ-იორკს მოვალო.

ნიუ-იორკი, 20 ივლისი. ვიტტეს ერთს კორესპონდენტისთვის უთქვამს: „ამბობენ, ვითომც მე მონდობილი მქონდეს, შეერთებულ შტატებში სესხის საკითხი განვიხილო. ეს ტყუილია. ჩემი მისსია მხოლოდ ზავის შესახებ მოლაპარაკება არის“-ო.

(ღამის დეპეშები იხ. მე-4 ხე გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

რუსეთის ახალი სესხი. „რუს. ვედ.“-ს ბერლინიდან სწერენ: რუსეთი ახლ სამხედრო სესხის აღებას აპირობს გერმანიაში. როცა ვიტტე საფრანგეთში მიდიოდა, გზაში ცნობილი ბანკირი მენდელსონი დაუხვდა, ვიტტეს ვაგონში შევიდა და ორი საათის განმავლობაში ესაუბრა. მენდელსონს ამ ამბის დამალვა უნდოდა და, როცა გზიდან ბერლინში დაბრუნდა, სადგურზე თვითონ გადაიტანა თავისი ბარგი და მიიმალა, მაგრამ გაზეთების რეპორტიორებმა მაინც შეამჩნიეს და მეორე დღესვე მთელ ქვეყანას შეატყობინეს, მენდელსონი ვიტტეს სესხის შესახებ მოელაპარაკაო. რუსეთი დიდ ფულს სესხულობს. ამ ფულს გერმანიისა და საფრანგეთის ბანკირები უშოვნიან, მხოლოდ ცოტა სხვანაირ პირობებს კი დაუდებენ. ცნობილი პუბლიცისტი მაქს ნორდაუ, რომელიც „ფოსიშე ცაიტუნგი“-ის კორესპონდენტად ითვლება, პარიზიდან იუწყებოდა: საფრანგეთის ბანკირები რუსეთს მხოლოდ მაშინ ასესხებენ ფულს, როცა დარწმუნდებიან, რომ რუსეთში ამ მოკლე ხანში კონსტიტუცია იქნება შემოღებულიო. ამით საფრანგეთის ბურჟუაზიას, რასაკვირველია, რუსეთის ხალხის განთავისუფლება კი არ უნდა, არამედ უზრუნველყოფა იმ მილიარდებისა, რომელიც მან რუსეთს ასესხა (რ. ვ.).

ზავი. მეტად არეულ-დარეული და ერთი მეორის საწინააღმდეგო ცნობები მოდის ზავის შესახებ. ზოგი ირწმუნება, რუსეთი კონტრიბუციის გადახდაზე უარს არ იტყვისო, ზოგნი კი გადაჭრით ამბობენ, რუსეთი ერთ გროშსაც არ გადაუხდის იაპონიასო. „ბერლინერ ტაგებლატ“-ის პარიზელი კორესპონდენტი ნამდვილ ცნობებიდან იუწყება: რუსეთის რწმუნებულს ვიტტეს მინდობილი აქვს მოლაპარაკების დაწყებისთანავე განუცხადოს იაპონიის წარმომადგენლებს, რომ რუსეთი ერთ კაპეიკს კონტრიბუციას არ გადაიხდისო. ეს განცხადება, როგორც ამბობენ, იმ წუთშივე ჩაშლის მოლაპარაკებას, რადგან იაპონია უეჭველად თხოულობს კონტრიბუციას. თუ ეს ხმა გამართლდა, ომი ხელმეორედ უნდა განახლდეს და, ვინ იცის, როდის გათავდება. როცა ვიტტე პარიზში იყო, როტშილდები ინახულა და ახალ სესხზე მოელაპარაკა. როტშილდებმა უპასუხეს, როცა დავრწმუნდებით, რომ ზავი ჩამოვარდება და რუსეთი კონსტიტუციას შემოიღებს, ფულს მაშინვე მივცემთ რუსეთსაო (რ. ვ.).

იაპონიის ჯარის რაოდენობა მანჯურიაში. „რუს. ინვალიდ“-ის ანგარიშით, ამ ორი თვის წინად მარშალ ოიამას 650-700 ათასი კაცი ჰყავდა. ამ რიცხვს უნდა მივუმატოთ კიდევ 200 260 ათასი კაცი, რომელიც ეხლახანს მოაგროვეს იაპონიაში და ოიამას მიაშველეს. გარდა ამისა, ოიამას ემორჩილება კორეის მეხუთე არმია გენ. ხასეგავასი.—150 ათასი კაცი და სახალინის ასაღებად გაგზავნილი 20 ათასი კაცი. ამრიგად იაპონიამ დღეს ბრძოლის ველზე 850-950 ათასი მებრძოლი გამოიყვანა. აქ ნაანგარიშევი არ არის იაპონიაში დამზადებული მარქაფა ჯარი, ახლად ნასწავლნი და სხვა რაზმები, რომლისგანაც მეექვსე არმიას ადგენენ (ნ. დ.).

კომურა ამერიკაში. ამჟამად იაპონიის რწმუნებული კომურა ამერიკაშია და აქედ-იქით დადის. „ტაიმს“-ს ატყობინებენ, კომურას ყველგან აღტაცებით და აღფრთოვანებით ეგებებიან. ჟურნალისტებს ძალიან უკვირთ, რომ კომურა ზედმიწევნით და ყოველმხრივ იცნობს ამერიკასა და ამერიკელების ცხოვრებას. ჩიკაგოში კომურამ მოისურვა გაცნობა ქალაქის მოურავის დენნესი, რომელიც დიდი მცოდნეა საქალაქო საქმეებისა და ამის შესახებ მრავალი ნაწერიც აქვს. ჟურნალისტებთან ლაპარაკის დროს საქალაქო საქმეებში კომურამ ისეთი ცოდნა გამოიჩინა, რომ ყველა გააჩუმა. დენნეს გაცნობაც იმიტომ მოუსურვებია, რომ წაკითხული ჰქონია იმისი ნაწერები. კომურა ბევრს არ ლაპარაკობს რუსეთ-იაპონიის ომისა და რუსების დამარცხების მიზეზების შესახებ, მაგრამ, რასაც კი იტყვის, თავდაჭერილია, აწონილ-დაწონილი და გამოზომილი. კომურას აზრით, იაპონიამ იმიტომ გაიმარჯვა, რომ ხალხი დარწმუნებული იყო თავის სიმართლეში. გარდა ამისა, იაპონიაში ხაზინის მძარცველნი და ქურდ-ბაცაცები არ არიან და ხალხიც მცირედით კმაყოფილდება. ეს აზრი მეტად მოსწონს რუზველტს, რომელმაც ამ სიტყვებს თავის აზრი დაუმატა—„ღარიბულად უნდა იცხოვრო და მდიდრულად იფიქრო“ (რ.).

ახალი ამბავი

18 ივლისს, ტფილისში, ერევნის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორის ბ-ნ ა. ბ. ჭიჭინაძის თავმჯდომარეობით, დაიწყო სხდომები კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის მიერ შემდგარ კომისიისა. ამ კომისიამ უნდა გამოარკვიოს ის, თუ **როგორ უნდა მოეწყოს საშობლო ენაზე სწავლება პირველ-დაწყებით სკოლებში**. კომისიაში სულ 11 კაცია. კომისიას შეუძლიან მიიწვიოს გამოცდილი პედაგოგები. კომისია მოხსენებას წარუდგენს მზრუნველს, რომელიც შემდეგ მოიწვევს დიდს კრებას პედაგოგებისას. ეს კრება შეიმუშავებს პროგრამას პირველ-დაწყებით სკოლებში საგნების სწავლების შესახებ.

✦ ტფილისის ქალაქის მოურავმა ქ. ა. ვერმიშევმა შუამდგომლობა აღძრა ნამესტნიკის წინაშე, ნება მიეცეს მას თავის მგზარობის ანგარიში წარუდგინოს საბჭოს და აცნობოს **მოსკოვში მომხდარ ქალაქისა და ერობის წარმომადგენელთა კრების შედეგი**.

✦ კავკასიის ნამესტნიკს, როგორც „ნოვ“. გადმოგვცემს, აზრადა აქვს ყველა გუბერნიასა და ოლქში შეადგინოს **სასოფლო-სამეურნეო თანხები**, ამ თანხებიდან დაკმაყოფილებულ იქმნას სოფლის სხვადასხვა საჭიროება: მაგალითად, უნდა შეიძინონ მიწა, სამეურნეო იარაღი და სხვა. ასეთ თანხის შესახებ ყოველ მამაკაცს, 12-დან 60 წლამდე, გადახდება ნახევარი ფუთი ხორბალი. ასე შეიკრიბა $1^1/_2$ მილიონ მანათის თანხა მე-90 წლებში ქუთაისის გუბერნიაში.

✦ ფოსტა-ტელეგრაფის მთავარმა გამგეობამ ამ უწყებაში **ქალთა სამსახურის შესახებ შემდეგი განკარგულება მოახდინა**: 1) ფოსტა-ტელეგრაფსა და ტელეფონში სამსახურში მიღების დროს უპირატესობა მიეცეთ გასათხოვარსა და უშვილო ქვრივ ქალებს; 2) ლოგინობის დროს მოსამსახურეთ მიეცეთ ერთის თვის თავისუფალი დრო ჯამაგირის შენახვით; 3) სამსახურის დროს ქალებს უნდა ეცვათ გულდახურული მუქი კაბები; 4) ტელეგრაფზე ქალები მამაკაცებთან ერთად უნდა ეწეოდნენ სამსახურს და არავითარი უპირატესობა არ უნდა ეძლეოდეთ.

✦ კავკასიის ნამესტნიკის საბჭომ დაამტკიცა **ბ-ნ ვეიდენბაუმის პროექტი**. ამ პროექტით, გლეხებმა მემამულეთ მოსავლის მეოთხედი უნდა აძლიონ.

✦ გუშინ, 21 ივლისს, კავკასიის ნამესტნიკი, საპოლიციო ნაწილის უფროს შირინკინთან ერთად, გაემგზავრა სოფ. ვორონცოვკაში (ბორჩალოს მაზრა), მთელის რუსეთის **მალაკანთა კრებაზე დასასწრებლად**.

✦ ლიტოგრაფიის პატრონი **გიორგი დემუროვი დასთანხმდა** ლიტოგრაფიაში მომუშავეთა შემდეგ მოთხოვნილებებზე: შემოღებულ იქმნას 8 საათის სამუშაო დღე; დღესასწაულების და კვირა დღეების წინა დღეს მუშაობა ჩვეულებრივზე ერთ საათით ადრე თავდებოდეს; ზედ-მეტი მუშაობა უნდა ხდებოდეს მუშებისა და ხაზეინის შეთანხმებით; თუ მუშა ავად გახდება, მისი ადგილი მასა რჩება ერთის თვის განმავლობაში და ჯამაგირიც ნახევარ თვისა მიეცემა. ხაზეინს არა აქვს უფლება უმიზეზოდ მუშა ადგილიდან დაითხოვოს. დათხოვნის დროს საჭიროა თანხმობა უფროსის ხელოსნებისა; გაფიცვის დრო მუშებს ჯამაგირები არ უნდა ესპობოდეს და სხვა.

✦ ამიერ კავკასიის რკინის გზის სადგურებთან არსებულ სახელმწიფო შემნახველ კასების რევიზიის დროს, აღმოჩენილა, რომ ზოგიერთ კასების განყოფილებებში **მუშაობის განსაზღვრული დრო არ არსებობს**. ამიტომ რკინის გზის უფროსი უბრძანებს სადგურების უფროსებს სადგურების თვალსაჩინო ადგილებზე გააკრან განცხადებანი: როდის შეიძლება ფულის კასაში შეტან-გამოტანა.

✦ ტფილისის საქალაქო სასწავლებლის მასწავლებელს **ბ. ნესტორ კიკალიშვილს ნება დართეს დ. ჭიათურაში გახსნას** პირველ-დაწყებითი **სასწავლებელი** სამის წლის კურსით. პროგრამა საქალაქო 6 კლასიან სასწავლებლის კურსთან შეთანხმებული იქმნება. პროგრამა და სწავლის მეთოდი თვით კურსების დამაარსებელზე არის დამოკიდებული, აგრეთვე ქართულ ენასაც დათმობილი უნდა ჰქონდეს დიდი ადგილი.

✦ სამრევლო სკოლების საოლქო საბჭომ უწმ. სინოდს **ვრცელი მოხსენება წარუდგინა** გლეხთა მოძრაობის გამო ციხისჯვრისა, ბეკამისა, ნინოწმინდისა, საგარეჯოსა და ბუშათის სკოლების დახურვის შესახებ.

✦ კავკავის რკინის გზის **ტელეგრაფისტებიც გაფიცულან** და უფროსისთვის თავიანთი მოთხოვნილებანი წარუდგენიათ).

✦ „კავკაზს“ პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ, რომ კავკასიის მეორე დივიზიის უფროსი თავ. ჯამბაკურ-ორბელიანი **მე-22 არმიის კორპუსის უფროსად დაინიშნაო**.

✦ ქუთაისის რეალურ სასწავლებლის **დირექტორად დანიშნულს ი. ე. გამყრელიძეს ზოგიერთ მოსაზრებისა გამო ამ თანამდებობაზე უარი განუცხადებია**.

✦ როგორც „ც. ფ.“-ს გაუგია, ერევნის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორი **ალექსი ჭიჭინაძე დაინიშნა ხონის საოსტატო სემინარიის დირექტორად**.

✦ მცხეთის დედათა სამთავრო მონასტრის სასწავლებლის შესაკეთებლად სასულიერო მთავრობამ **საჭირო თანხა მოსთხოვა კავკასიაში ქრ. ალმ. საზოგადოებას** და თან დასძინა: წინააღმდეგ შემთხვევაში სკოლა დაიხურებაო.

✦ **ახალ სენაკი**. შაბათს, 16 ამ თვეს, აქაურ ეკლესიის გალავანში ყრილობა ჰქონდა ადგილობრივ მოვაჭრეებს და მათს ნოქრებს. ნოქრები თხოულობენ კვირა-უქმე დღეებში დუქნები დაკეტილი იყოს ხოლმე. ნოქრებმა დადგენილება დასამტკიცებლად გაგზავნეს, სადაც ჯერ არს.

✦ სოფ. ტირძნისის (გორის მაზრა) სამრევლო **სკოლა დაიხურა** და საეპარქიო მეთვალყურეს დაევალა, წარმოადგინოს თავისი აზრი, სად უფრო აჯობებს ამ სკოლის გადატანა. მასწავლებლები დაითხოვეს და ჯამაგირები 15 აგვისტომდის მისცეს.

✦ დღეს, 22 ივლისს, ქალაქის წყლის გამომყვანი კომისია წალკაში მიემგზავრება იქაურ წყაროების დასათვალიერებლად. **კომისია წალკაში 4 დღეს დაჰყოფს**. კომისიაში მონაწილეობას იღებენ ა. ბაბოვი, კირაკოსოვი, ლუნკევიჩი, შახბუდაღოვი, მუხარინსკი, კოგნოვიცკი და მელიქ-ალავერდოვი.

✦ რადგანაც ქალაქის ხორცის დუქნებში გასავალი შემოსავალს ბევრით აღემატება, **ქალაქის გამგეობა შაბათიდან ხორცის ნიხრს მოუმატებს**—გირვანქა ხორცი 10 კაპ.

✦ ოთხშაბათს, 20 ივლისს, ქალაქის ქუჩების მომკირწყლავ კომისიის სხდომაზე ერთხმად დაადგინეს: რადგანაც „გეორგია“-ს ფირმამ დიდი ნდობა დაიმსახურა, ამ ფირმას ქუჩების მოსაკირწყლად 2 მილიონი ქვა კიდევ შევუკვეთოთო.

✦ ტფილისის სამაზრო სამრევლო სკოლების განყოფილებასთან არსებული წიგნთ-საცავი დაიხურა ახლად ხსნიან შემდეგ ადგილებში: ჯალალ-ოღლში.

ფელეტონი

1862 წლის არჩევნები გერმანიაში

რა არის კონსტიტუცია?

(თარგმანი გერმანულიდან)

ახლა ჩვენ ვიცით, ბატონებო, ორისავე კონსტიტუციის დედააზრი; ვიცით, რა არის სახელმწიფოს ნამდვილი კონსტიტუცია, მის ძალთა რეალური ურთიერთობა,—ვიცით აგრეთვე, რა არის მისი დაწერილი კონსტიტუცია, რომელსაც პირველისაგან გასარჩევად თუნდა ერთი ფურცელი ქაღალდი დავარქვათ.

ნამდვილი ხარტია, ნამდვილი კონსტიტუცია ყოველს ქვეყანას აქვს და კიდევაც ყოველთვის ჰქონია—ამაში თქვენ ახლავე დარწმუნდებით; არა არის-რა იმაზე უფრო შემცდარი და კაცის გზაკვლის დამბნევი, როგორც გავრცელებული აზრი, ვითომ ხარტია ანუ კონსტიტუცია მარტო ახალის დროის ნაყოფი იყოს. პირიქით, ყოველ ქვეყანას აუცილებლად აქვს თავისი რეალური ხარტია ანუ კონსტიტუცია, ისე აუცილებლად, როგორც თვითეული სხეული, თვითეული ორგანიზმი მოწყობილია ასე თუ ისე, აქვს ასეთი თუ ისეთი კონსტრუქცია. მართლაც და, ხომ უსათუოდ არის ყოველს ქვეყანაში ძალთა ასეთი თუ ისეთი რეალური ურთიერთობა.

როცა საფრანგეთში, ბევრად ადრე დიდ რევოლუციამდე, თვითმპყრობელმა მეფემ ლუდოვიკო მე-XVI 1776 წლის 3 თებერვლის დეკრეტით გააუქმა საგზაო ბეგარა, რომელიც ავალებდა გლეხებს მუქთად ემუშავნათ გზებზე, გაეყვანათ და შეეკეთებინათ ისინი, და მის ნაცვლად საგზაო ხარჯების დასაფარავად შემოიღო გადასახადი, რომელიც თავად-აზნაურთა მამულსაც ხდებოდა, საფრანგეთის პარლამენტი წინააღუდგა ამას და განაცხადა: „საფრანგეთის ხალხზე, ესე იგი მხოლოდ უბრალო ხალხზე,—არა თავად-აზნაურებზე, გადასახადების და ბეგარის დადება სურვილისამებრ შეიძლება; კონსტიტუციის ამ ნაწილის შეცვლის უფლება მეფეს არა აქვსო“.

ჩვენ ვხედავთ, რომ მაშინ, როგორც ახლა, ლაპარაკობდნენ კონსტიტუციაზე და მერე ისეთ კონსტიტუციაზე, რომლის შეცვლა თვითმპყრობელ მეფესაც არ შეუძლიაო. მართალია, ის, რასაც აქ კონსტიტუციის მნიშვნელობა ეძლევა,—დაბალ ხალხზე გადასახადებისა და ბეგრის დადება,—არ იყო ჩაწერილი ცალკე ღრამატაში, რომელშიაც ყოფილიყოს აღნიშნული ხალხის ყველა უფლებანი და მართვის უმთავრესი პრინციპები; ეს იყო საშუალო საუკუნოების საფრანგეთში ძალთა რეალური ურთიერთობა. საშუალო საუკუნოებში ხალხი მართლაც ისე უძლური იყო, რომ ადვილად შეიძლებოდა მისი გადასახადებით დატვირთვა; მმართველი კლასებიც ამით, ძალთა ფაქტიურ ურთიერთობით, ხელმძღვანელობდნენ, როცა ხალხს უზომო გადასახადს აღებდნენ. საქმის ასეთი ფაქტიური მსვლელობა იწვევდა, ეგრედ წოდებულ, პრეცედენტებს, რომლებიც დიდ როლს თამაშობდნენ საშუალო საუკუნოების საკონსტიტუციო კითხვებში. ხალხის ფაქტიურად დაჩაგვრაზე აღმოცენდა ის აზრი, რომ **ხალხის დაჩაგვრა შეიძლებაო**. ეს აზრი ხდებოდა სახელმწიფო-უფლებრივ პრინციპად, რომელზედაც შემდეგ პირდაპირ აფუძნებდნენ ხოლმე თავიანთს აზრებს. ხშირად რომელსამე განსაკუთრებულ გარემოებას, რომელიც კიდევ ძალთა ფაქტიურ ურთიერთობის ნაყოფი იყო, სწერდნენ ეტრატზე და აღიარებდნენ კანონიერად. ამნაირად გაჩნდა სხვადასხვა „შეღავათები“, უფლებანი, წოდებათა, ხელოსანთა და ქალაქების სტატუტები და სხვ.

ყველა ეს ფაქტი, პრეცედენტი, სახელმწიფო-უფლებრივი პრინციპი, ეტრატი, თავისუფლება, დებულება, პრივილეგია—შეადგენდა საერთოდ ქვეყნის კონსტიტუციას, ესენი წარმოადგენდნენ ქვეყნის ძალთა ურთიერთობის უბრალო, გულახდილ გამომჟღავნებას.

ამნაირად, ნამდვილი კონსტიტუცია ყველა ქვეყანას ჰქონია ყოველთვის.

ხოლო ახალის დროის განსაკუთრებულ თვისებას შეადგენს არა ნამდვილი, არამედ **დაწერილი** კონსტიტუცია, ფურცელი ქაღალდი; ეს არ უნდა დავივიწყოთ არას დროს.

მართლაც, ჩვენს დროში ყველგან ცდილობენ შეიძინონ დაწერილი კონსტიტუცია, რომელიც ღრამატაში, ფურცელ ქაღალდზე აღნიშნავს და განამტკიცებს ყველა სახელმწიფო დაწესებულებასა და მართვა-გამგეობის პრინციპებს.

საიდან წარმოსდგა ახალის დროის ეს განსაკუთრებული მისწრაფება?

ესეც ძალიან საყურადღებო კითხვაა, მხოლოდ ამისი პასუხი გვასწავლის, როგორ უნდა შევუდგეთ ხოლმე კონსტიტუციის შედგენას, ან როგორ უნდა ვუყურებდეთ უკვე არსებულ კონსტიტუციებს; ერთის სიტყვით, მხოლოდ პასუხი მოგვცემს საკონსტიტუციო სიბრძნესა და ხელოვნებას.

მაშ საიდან წარმოსდგა ახალის დროის განსაკუთრებული მისწრაფება დაწერილ კონსტიტუციების შედგენისადმი? საიდან უნდა წარმომდგარიყო?

ალბად, იმ ქვეყანაში, სადაც ასეთი მისწრაფება გაჩნდა, ძალთა ურთიერთობაში ცვლილება მომხდარა. რომ ეს ცვლილება არ მომხდარიყო, რომ საზოგადოებრივ ძალთა ურთიერთობა ძველებური დარჩენილიყო, მაშინ, ცხადია, საზოგადოებაში ახალ კონსტიტუციისადმი მისწრაფება არც დაიბადებოდა. თავის კონსტიტუციას ხელსაც არ ახლებდნენ, თუ მაინცადამაინც—ამ კონსტიტუციის დაქსაქსულ ნაწილებს თავს მოუყრიდნენ ერთ ღრამატაში.

როგორ-და ხდება ცვლილება საზოგადოებრივ ძალთა ნამდვილ ურთიერთობაში?

წარმოვიდგინოთ, მაგალითად, საშუალო საუკუნეთა სახელმწიფო, რომელიც, როგორც თითქმის ყველა მაშინდელი სახელმწიფოები, ძალიან თხლად არის დასახლებული; მიწის უმეტესი ნაწილი ეკუთვნის მეფესა და თავად-აზნაურთ. მცხოვრებთა სიცოტავის გამო მრეწველობასა და ვაჭრობაში გართულია მათი სულ მცირე ნაწილი; უდიდესი ნაწილი კი მიწის მუშაობასა და ჰირნახულის მოყვანაშია დაბანდებული. რადგანაც მიწა თავად-აზნაურებს ეკუთვნის, ამიტომ მცხოვრებლები იძულებულნი არიან მათს მიწაზე იმუშაონ და მათთან სხვადასხვა დამოკიდებულება დაიჭირონ,—ვასსალებად, ყმებად, შთამომავლობით ფერმერებად და სხვა; ყველა ეს დამოკიდებულება ერთის პრინციპისაგან არის წარმომდგარი: მცხოვრებლები სრულიად დამოკიდებულნი არიან თავად-აზნაურობაზე, ისინი ემსახურებიან მათ, ვითარცა ვასსალები, ომის დროს იბრძვიან მათთვის. ზედმეტის ჰირნახულით თავადი ინახავს აუარებელ მოსამსახურეებს, მცველებს და სხვადასხვაგვარ ჯარის კაცებსაც.

თავად-აზნაურთა ასეთის ძლიერების საწინააღმდეგოდ მეფეს არავითარი რეალური ძალა არ ჰქონდა, გარდა თვით იმ აზნაურებისა, რომლებიც თავის ნებით მოეხმარებოდნენ (ძალდატანება მეფეს არ შეეძლო) და ზოგიერთ ქალაქებისა, რომლებიც მაშინ ძალიან სუსტად იყვნენ დასახლებულნი და რომელთა შემწეობა სახსენებელიც არ არის.

როგორი იქმნებოდა ასეთის სახელმწიფოს კონსტიტუცია?

რასაკვირველია, ისიც მაშინდელ ძალთა რეალურ ურთიერთობის გამომხატველი იქნება.

კონსტიტუცია იქმნებოდა წოდებრივი, თავად-აზნაურობა კი—პირველი და ყოველმხრივად გაბატონებული წოდება. მის უნებურად მეფე ერთ გროშ გადასახადსაც ვერ გასწერდა; თავად-აზნაურთა შორის მეფე იყო პირველი თანასწორთა შორის.

ასეთი იყო ნამდვილად საშუალო საუკუნოებში პრუსიის და სხვა უმრავლეს სახელმწიფოთა კონსტიტუცია.

ახლა წარმოვიდგინოთ,—მცხოვრებთა რიცხვი უფრო და უფრო მატულობს, ხელოსნობა და მრეწველობა აყვავდა, ეს კიდევ უფრო ამრავლებს მცხოვრებლებს, რომლებითაც აივსო ქალაქები. ბურჟუაზიისა და ქალაქის გილდიათა ხელში დატრიალდა დიდი კაპიტალი და ფულის სიმდიდრე. რა მოჰყვება ამას?

ქალაქის მცხოვრებთა გამრავლება, რომლებიც დამოკიდებულნი არ არიან თავად-აზნაურთაგან, რომელთა ინტერესებიც ეწინააღმდეგება მათ ინტერესებს, ძალიან სასარგებლოა მეფისთვის; რაც უფრო გამრავლდება ხალხი, მით უფრო ბევრი შეიძლებს იარაღის ტარებას, მით უფრო გაუადვილდება მეფეს ჯარის შედგენა; მოქალაქენი და, საზოგადოდ, ყველა ხელოსნები ძალიან ბევრსა ზარალობენ აზნაურთა ერთმანეთთან ქიშპობისა და ომიანობისაგან; მათთვის და ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებისათვის აუცილებლად საჭიროა საზოგადო წესიერება და მშვიდობიანობა, მტკიცე და მოწესრიგებული სამართალი; ამიტომ ისინი სიამოვნებით ეხმარებიან მეფეს ფულითაც, ხალხითაც; მათის შემწეობით მეფეს ადვილად შეუძლიან მოაგროვოს ძლიერი ჯარი, რომელიც ბევრად აღემატება თავად-აზნაურთა ძალას. მაშინ მეფე შეჰკვეცავს ფრთებს თავად-აზნაურთა დამოუკიდებლობას, წაართმევს მათ ომის უფლებას; როცა ისინი დაარღვევენ კანონებს, მეფე მათს ციხეებს გაანადგურებს; ბოლოს, მრეწველობის განვითარების გამო, იმდენად გაიზრდება ფულის კაპიტალი და მცხოვრებთა რიცხვი, რომ მეფეს საშუალება მიეცემა იყოლიოს მუდმივი ჯარი; ამ ჯარს იგი გაალაშქრებს წოდებათა წარმომადგენლების წინააღმდეგ, როგორც ეს ჰქმნა დიდმა კურფიურსტმა ან ფრიდრიხ ვილჰელმ I, რომელმაც სთქვა: მე გავამაგრებ თვითმპყრობელობას ბრინჯაოს კლდესავით; იგი წაართმევს თავად-აზნაურებს ბაჟების დამტკიცების უფლებას და თვითონ მათაც სახელმწიფო გადასახადს შეაწერსო...

ძალთა რეალურ ურთიერთობის შეცვლისთანავე შეიცვალა კონსტიტუციაც; გაჩნდა თვითმპყრობელობა.

თავად-აზნაურებს აღარ შეუძლიანთ მეტოქეობა გაუწიონ მეფეს და ამიტომ საკუთარ მხედრობაზე ხელს იღებენ, ივიწყებენ ძველებურ მდგომარეობას, როცა მეფის თანასწორნი იყვნენ და წინააღმდეგობას უწევდნენ მას. მათი უმეტესი ნაწილი სტოვებს თავის ციხეებს, გადადის მეფესთან, ღებულობს მისგან ჯამაგირს და ხელს უწყობს მისს გაძლიერებასა და გაბატონებას.

ხელოსნობა და მრეწველობა კი უფრო და უფრო ვითარდება; მათ აყვავებასთან ერთად მცხოვრებელთა რიცხვიც იზრდება.

ამ პროცესმა თითქო კიდევ უფრო უნდა გააძლიეროს მეფე და მას ბოლოს მსოფლიო მნიშვნელობა მისცეს.

მაგრამ საზოგადოებრივი და მოქალაქეობრივი განვითარება იმდენად იზრდება, ისეთს ზომებს იღებს, რომ მეფე ველარ ახერხებს ბატონობის შენარჩუნებას; მოქალაქობრივი განვითარება, მოქალაქეთა ძალა წინ უსწრებს მუდმივის ჯარის ზრდას,—მეფის გაძლიერებას.

რამდენიმე მაგალითი ნათლად გვიმტკიცებს ამას.

1657 წელს ბერლინში იყო 20,000 მცხოვრები. თითქმის ამავე დროს, დიდის კურფიურსტის სიკვდილის ჟამს, ჯარი შესდგებოდა 24—30,000 კაცისაგან.

1803 წელს ბერლინში იყო 153,070 მცხოვრები.

1819 წელს, თექვსმეტის წლის შემდეგ, იქ ითვლებოდა უკვე 192,646 მცხოვრები.

ამ წელს ჯარი შესდგებოდა 137,639 კაცისაგან; იმ დროს, როგორც იცით, 1814 წლის, ენკენისთვის კანონის ძალით, საერობო ლაშქარი მუდმივ ჯარში არ შედიოდა.

იმ დროს ჯარი ოთხჯერ მეტი იყო იმაზე, რამდენიც იყო დიდის კურფიურსტის დროს, ხოლო ბერლინის მცხოვრებთა რიცხვმა 9-ჯერ იმატა.

მაგრამ სწორედ აქ იწყება განვითარების უფრო სწრაფი ზრდა.

1846 წ. ბერლინის მცხოვრებთა რიცხვი (ყველა ციფრები ამოღებულია ოფიციალურ წყაროებიდან) ავიდა 389,308-მდე, თითქმის 400,000-მდე, ასე რომ, 1818 წელს აქედ, 27 წლის განმავლობაში—გაორკეცდა, ჯარი კი 1846 წელს ირიცხებოდა მხოლოდ 138,810, ასე რომ, 1819 წლის შემდეგ მას თითქმის არა მომატებია-რა, ე. ი. მოქალაქეობრივ განვითარებაში მას მონაწილეობა არ მიუღია.

ასეთმა ძლიერმა განვითარებამ საზოგადოება გაათვითცნობიერა, შეაგნებინა მას, რომ იგი არის დამოუკიდებელი პოლიტიკური ძალა სახელმწიფოში. გაიზარდა საზოგადო სიმდიდრე, აყვავდა მეცნიერება, განვითარდა, ამაღლდა საზოგადოებრივი სინიდისი, რომელიც, როგორცა ვთქვი, კონსტიტუციის ნაწილი არის. მოქალაქენი იწყებენ მსჯელობას: ჩვენ აღარ გვინდა, რომ სხვა გვპარავდეს როგორც უსიტყვო რასმე, აღარ გვინდა მონობა.

მოკლეთ რომ ვთქვათ, ძალთა რეალური, ფაქტიური ურთიერთობა კიდევ შეიცვალა. სხვა სიტ-

ეროვნული

ზაქათალაში: ბეშტაშენში (ბორჩ. მაზრა) და ზიუდოსტავ-კულტუკში (ბაქოს გუბ.).

✦ როგორც კოჯრიდან გვატყობინებს, 16—19 ივლისს გაუქურდავთ ვეტველისა, დიტრიხისა და თურუმანოვის აგარაკები. ერთი ქურდი—მელიქ ფაშაევი—უკვე შეუპყრიათ.

✦ 20 ივლისს, საღამოს 9 საათზე, წილკნის ქუჩაზე, ინჟენრის გრიგოლ კარაკოზოვის ვარდულში, რომელშიაც ბენზინის ბოჭკები და სხვადასხვა სადებავები იყო, გამოურკვეველ მიზეზის გამო ცეცხლი გაჩნდა და დაიწვა.

✦ ვაჟთა პირველ გიმნაზიის ინსპექტორი ობლომსკი ინიშნება სტავროპოლის ქალების გიმნაზიის დირექტორად, ხოლო ამავე გიმნაზიის დირექტორად ინიშნება ბაქოს გიმნაზიის დირექტორი კოტილევსკი.

✦ ტფილისის პოლიცმეისტრის თანაშემწემ განკარგულება მოახდინა, სასტიკი **ყურადღება მიაქციონ მუშტაიდში მოხეტიალე მათხოვრებს.** სრულ-წლოვანი დამნაშავენი წესიერების დარღვევისთვის პასუხის-გებაში იქმნებიან მიცემულნი. მცირე-წლოვანნი კი დედმამას უნდა ჩააბარონ.

✦ 19 ივლისს, საღამოს 11 საათზე, მადათოვის ქუჩაზე, პოლიციელმა იპოვა მჩვრებში გახვეული 3 **კვირის მიგდებული ბავშვი** მამრობითის სქესისა. ბავშვი საბებიო ინსტიტუტში გაგზავნეს.

საარჩევნო უფლება და ხალხის წარმომადგენლობა ევროპაში

ნ. ა. როჟკოვისა.

ხალხის წარმომადგენლობა, შეიძლება, სხვადასხვანაირი იყოს, საზოგადოდ კი წარმომადგენლობის ოთხ სხვადასხვა სახეს არჩევენ ხოლმე: არის წარმომადგენლობა არისტოკრატიული ან ადამიანის შთამომავლობაზე დამყარებული, არის საარჩევნო უფლება წოდებრივი, ცენზიანი და საყოველთაო.

არისტოკრატიული წარმომადგენლობა ის არის, რომელიც წარჩინებულ, პრივილეგიების მქონე გვარეულობათა წარმომადგენლობაზე არის დამყარებული; აქ წარმომადგენლებს არ ირჩევს ხალხი, აქ მათი უფლება მემკვიდრეობაზე არის დამყარებული. ამნაირი არისტოკრატიული წარმომადგენლობა არსებობს ამჟამად ინგლისში. იქ ლორდთა პალატის (ზემო პალატის) წევრებად ითვლებიან ლორდები, ან სამეფო პერები, ეპისკოპოსები და წარჩინებულ გვარეულობათა უფროსებიც.

ყველა ლორდს მემკვიდრეობით ენიჭება კანონმდებლობის უფლება, ამ უფლებას მემკვიდრეობითვე გადასცემენ ისინი შვილებს. აქ სრულებით არ არის კენჭის ყრა, ხალხისაგან წარმომადგენლების არჩევა,—აქ ხალხი განზეა დატოვებული.

წოდებრივ წარმომადგენლობაში არჩევნები არის, წარმომადგენლებს დაბალი წოდებაც ირჩევს, მხოლოდ ყოველი წოდება თავის ასარჩევ პირებს კენჭს ცალკ-ცალკე უყრის. ყოველ წოდების წარმომადგენლები საერო კრებაზეაც ცალკე სხედან, ცალკე თათბირობენ, ყოველი წოდება რომელისამე საკითხის გადაწყვეტის დროს კენჭს ცალკე იძლევა და საკითხი ხმის უმეტესობით კი არ წყდება, არამედ წოდებათა ხმის უმეტესობით. საშუალო საუკუნოებში საფრანგეთის საერო კრებაში, მაგ., სამის წოდების წარმომადგენლები იყვნენ: სამღვდელოება, აზნაურობა და მოქალაქენი (ბურჟუაზია). ყოველს წოდებას სხდომები თავისთვის ჰქონდა, ყოველი წოდება კენჭსაც ცალკე აძლევდა, ისე, რომ სამღვდელოება და თავად-აზნაურობა ერთმანეთში თანახმანი თუ იყვნენ, მათი ორი ხმა ბურჟუაზიის ერთ ხმას სჯაბობდა და მათი აზრი იმარჯვებდა კრებაში. ამჟამად წოდებრივი წარმომადგენლობა არისტოკრატიულ წარმომადგენლობასავით იშვიათია. იგი შერჩენია, მაგალ., ფინლიანდიამ. იქ სეიმი ოთხ წოდებისაგან შესდგება: თავად-აზნაურები (ესენი არჩევით არ არიან აქ, კრებაში ყველა თავად-აზნაურს აქვს წარმომადგენლობის უფლება, ამ მხრივ მათი წარმომადგენლობა არისტოკრატიულია), სამღვდელობა, მოქალაქეთა წარმომადგენლები და გლეხობის წარმომადგენლებიც. წოდებრივი წარმომადგენლობა ისეთ საზოგადო წყობილებაზეა აგებული, სადაც ყოველი წოდება განირჩევა იურიდიულად: უფლებით და მოვალეობით. ამნაირ იურიდიულად განსხვავებულ ჯგუფებს ეძახიან წოდებებს.

მაგრამ საზოგადოება, შეიძლება, კლასსებადაც იყოს დაყოფილი, ჯგუფ-ჯგუფად, რომელნიც ერთმანეთში განირჩევიან იმის მიხედვით, თუ რა მონაწილეობა აქვთ წარმოებაში და საზოგადოდ ხალხის ეკონომიურ ცხოვრებაშიაც. ცალკე კლასებს შეადგენენ, მაგალითად, მემამულეები, მიწად-მომქმედნი, მექარხნეები, მუშები და სხ. სხვადასხვა კლასსი ქონებრივად თანასწორად უზრუნველყოფილი არ არის: ზოგი მდიდარია და ზოგიც ღარიბი. ქონებრივ სხვადასხვაობაზე არის აგებული სახალხო წარმომადგენლობის მესამე სახე,—ცენზიანი წარმომადგენლობა, რომელიც წარმომადგენელთა არჩევის უფლებას (აქტივ საარჩევნო უფლებას) და წარმომადგენლად არჩევის უფლებას (პასსივ საარჩევნო უფლებას) ანიჭებს მხოლოდ განსაღვრულ ქონების პატრონს, ცენზის მქონეს. როდესაც კანონი განსაზღვრავს, რამდენი ქონება ან შემოსავალი უნდა ჰქონდეს ადამიანს, ან რამდენი გადასახადი უნდა ხდებოდეს წლიურად, და ამის კვალად უნდა მიენიჭოს საარჩევნო უფლება,—ამას ჰქვია ცენზი, ცენზიანი წარმომადგენლობა. ცენზიანი წარმომადგენლობა არსებობს, მაგ., ინგლისში—ქვედა პალატაში არჩევისათვის; აქტივი და პასსივი საარჩევნო უფლება აქვს მინიჭებული იმათ, ვინც სადგომის ქირად 10 გირვ. სტერლინგს მაინც იხდის (100 მანეთამდის). უფრო მაღალი ქონებრივი ცენზი შემოღებულია ბელგიასა, ავსტრიასა, უნგრეთსა, პრუსიაში და სხ.; რუსეთის საერობო და საქალაქო თვითმართველობაც ცენზიან წარმომადგენლობაზეა აგებული. საზოგადოდ ცენზი ამჟამად მეტად გავრცელებულია ყველგან.

ამ სამნაირ წარმომადგენლობის გარდა არსებობს კიდევ საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული საარჩევნო უფლება, უსაზღვრო, შეუზღუდველი. განყენებულად რომ გავარჩიოთ,—სიტყვა „საყოველთაო“ ნიშნავს იმას, რომ აქტივი და პასსივი საარჩევნო უფლება უნდა ჰქონდეს მინიჭებული ყველას, სქესისა, ეროვნებისა და სარწმუნოების მიუხედავად, როდესაც ადამიანი შეიქნება სრულ-წლოვანი. „პირდაპირია“ საარჩევნო უფლება მაშინ, როდესაც ამომრჩევლები კენჭის ყრით თვითონვე ასახელებენ იმათ, ვინც უნდა შეიქნეს წარმომადგენლად, როდესაც არ არის ორკეცი კენჭის ყრა, სადაც ხალხი კენჭით განსაკუთრებულ ამომრჩევლებს ირჩევენ და ამ ამომრჩევლებს ანდობს ხალხის წარმომადგენელთა არჩევას. „თანასწორი“ საარჩევნო უფლება ორის მნიშვნელობით შეიძლება მიიღოს ადამიანმა; ერთი ის არის, რომ აქტივი და პასსივი საარჩევნო უფლება იმავე კაცებს აქვთ მინიჭებული (ზოგან კი ამომრჩევლებს ნაკლები ცენზი მოეთხოვებათ ხოლმე, ვიდრე ასარჩევ პირებს); მეორე კი ის, რომ თანასწორ საარჩევნო უფლების დროს ყველას თითო ხმა უნდა ჰქონდეს მინიჭებული. ამითი ისპობა ბელგიაში არსებული წესი, როდესაც მდიდრებს არჩევნებში ორ-ორი და სამ-სამი კენჭი აქვთ.

„ფარულია“ საარჩევნო უფლება, როდესაც ყველას შეუძლია ცალკე ოთახში, მოწმეების დაუსწრებლად დასწეროს და კონვერტში ჩადოს საარჩევნო ბარათი, რომელზედაც აღნიშნულია კანდიდატის გვარი. შეუძლია ეს კონვერტი დაბეჭდილად გადასცეს ან ყუთში თვითონვე ჩააგდოს. ამნაირად, ყველასათვის საიდუმლოდ რჩება, თუ ვის მისცა ადამიანმა თავისი კენჭი, გავლენა შეუძლებელი ხდება, უფროსები, მოვალეები ძალას ვერ დაატანენ ვერავის.

საარჩევნო უფლება ყოველ მხრივ თავისუფალი უნდა იყოს. საჭირო არ არის, მაგ., იმის მოთხოვნა, რომ ამომრჩეველი უკანასკნელ 3—6 თვის განმავლობაში სცხოვრობდეს იმ ადგილას, სადაც კენჭს აძლევს. ეს წესი არ ვარგა განსაკუთრებით მუშებისთვის, რომელნიც იძულებულნი ხდებიან ბინა ხშირად გამოიცვალონ.

საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და საიდუმლო საარჩევნო უფლება ამჟამად ბევრს სახელმწიფოში არსებობს, მაგ., გერმანიასა, საფრანგეთსა, ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებში და სხვ., თუმცა არსად ეს პრინციპი სავსებით შემოღებული არ არის. მაგ., ქალები საარჩევნო უფლებას მოკლებულნი არიან. მხოლოდ ჩრდილო ამერიკის ზოგიერთ შტატში და ახალ ზელანდიაში ქალებს საარჩევნო უფლება აქვთ მოპოვებული და ისიც მხოლოდ აქტივი უფლება: მათ შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა წარმომადგენელთა არჩევნის საქმეში, თვითონ ქალების არჩევა კი წარმომადგენლებად აკრძალულია.

საჭიროა შენიშნოს ადამიანმა, რომ ცხოვრებაში შერეული წარმომადგენლობაც არსებობს. ამნაირის შერეულ წარმომადგენლობის მაგალითია ორ პალატიანი სისტემა. ეს სისტემაც, შეიძლება, ორნაირი იყოს. ცენტრალისტურ სახელმწიფოში ორ პალატიან სისტემას ერთი მნიშვნელობა აქვს, ფედერატიულად მოწყობილ სახელმწიფოში კიდევ—სხვა მნიშვნელობა. ცენტრალისტურ სახელმწიფოში ორ პალატიანი სისტემა წარმომადგენლობის სხვადასხვა ფორმის შეკავშირებაა. ინგლისში, მაგ., ზემო პალატა არისტოკრატიულ წარმომადგენლობას გამოხატავს, ქვემო-პალატა კი ცენზიან წარმომადგენლობის ერთ-ერთი მაგალითია. საქმე არ იცვლება იქაც, სადაც ორსავე პალატაში წარმომადგენელთა არჩევა საყოველთაო კენჭის ყრაზეა დამყარებული, ვინაიდან მაშინ ცენზი აშკარად არა სჩანს, დამალულია. მართლაც, საფრანგეთის სენატის წევრებს ირჩევენ მუნიციპალიტეტები. ამ მუნიციპალიტეტის წევრებს კი—ხალხი საერთო კენჭის ყრით. ამ წესით სენატში მხოლოდ უმდიდრეს ბიუროკრატიის წარმომადგენლები შედიან. ამიტომ ცხადია, რომ ცენტრალისტურ სახელმწიფოში ორ პალატიანი სისტემა დემოკრატიულ პრინციპის შემზღუდველია.

სულ სხვა ხასიათი ეძლევა ორ-პალატიან სისტემას ფედერატიულად მოწყობილ სახელმწიფოში. ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატებში, მაგ., კანონმდებელი დაწესებულება—კონგრესი,—ორ პალატიდან შესდგება,—ერთია დეპუტატების პალატა, მეორე—სენატი. დეპუტატებს და სენატორებსაც საყოველთაო კენჭის ყრით ირჩევს თვით ხალხი, ყოველ შტატში დეპუტატების რაოდენობა მცხოვრებთა რაოდენობაზეა დამოკიდებული, სენატში კი თითო შტატი თითო სენატორს აგზავნის. ამ სისტემის დედა-აზრი ცხადია: უნდათ ყველა შეკავშირებული შტატი ან სახელმწიფო გაათანასწორონ სენატში.

ასეთი წესი ადვილად მისაღებია იმ ფედერაციებში, სადაც ყველა შეკავშირებული პოლიტიკური ერთეული ტერიტორიის სივრცით, ხალხის რაოდენობით ერთმანეთში დაახლოვებით სწორია. მაგრამ იგი შეუძლებელი ხდება, სადაც ფედერაციის სხვადასხვა შემადგენელ ნაწილში სივრცით და ხალხის რაოდენობით დიდი განსხვავებაა. ამნაირ შემთხვევებში ორ პალატიანი სისტემაც არ შეგვხდება ხოლმე. მაგ., გერმანიის რეიხსტაგი ერთ-პალატიანი დაწესებულებაა. უნდა შევნიშნოთ კი, რომ ფედერატიულად მოწყობილ სახელმწიფოებში ზემო პალატას ქვემო პალატასთან შედარებით მცირედი მნიშვნელობა აქვს. ეს ითქმის, მაგ., ამერიკის სენატზე.

ფიქრები

(რაზსვეტიდან)

ვინ და რამ გამოიწვია, ეგრედ წოდებული, რუსეთის „რევოლუცია“?.. თუ „რევოლუციად“ იმ ხანას ვუწოდებთ, როდესაც მთელი ქვეყანა ყოველსავე კავშირსა სწყვეტს მთავრობასთან, როდესაც ურთიერთ-შორის დამოკიდებულება უმწვერვალეს განხეთქილებამდე აღწევს და ყოველ უფლებასა და მოვალეობასა სპობს, ცხადია, ასეთი „რევოლუცია“ იქაც გაჩნდება, სადაც არავითარი წოდებრივობაც არა არსებობს, ხოლო მთელი მოძრაობა ბიუროკრატიის უნიჭობით, დაუდევრობით და ადვირ-წასხნილ თვითნებობითაა გამოწვეული. მაგრამ თუ რევოლუციად ვუწოდებთ ისეთ მოვლენას, რომელიც ძირიან-ფესვიანად ანგრევს არსებულს სისტემას, რეჟიმს, სამარეს უთხრის ქვეყნის ორგულთა ვერაგობას, ქვეყნის ცხოვრებას საზოგადო კეთილ-დღეობისაკენ მიაქანებს, როდესაც ქვეყნის ეკონომიურსა, პოლიტიკურსა თუ ზნეობრივ მხარეს საუკეთესო კალაპოტში ჩამოაყალიბებს, როდესაც საზოგადოების აზვირთებულ გულთა სწრაფვა ძველს, ვიწრო ფარგალში აღარ თავსდება და უფრო ფართოდ სვლას ესწრაფვის, ეჭვი არ არის, ასეთ რევოლუციას რომელიმე ახალი წოდება, კლასი უნდა ამოძრავებდეს. საფრანგეთში ასეთი წოდება ბურჟუაზია იყო, რომელმაც ხავს-მოკიდებული ფეოდალური წეს-რიგი დაამხო და მის ნანგრევებზე საკუთარი კეთილ-დღეობა ააშენა.

გერმანიასა, ავსტრიასა და ინგლისში იმავე ბურჟუაზიამ მსხვილ მემამულეებთან ერთად გაინაწილა და ხელში ჩაიგდო ქვეყნის მართვა-გამგეობა. რუსეთში? აქ პირველის შეხედვით სურათი იცვლება. აქ უმთავრეს ამმოძრავებელ ძალად მეოთხე წოდება გამოდის. ეს წოდება, მოკლებული ყოველსავე ძირძო საკუთრებას, იძულებულია მხოლოდ მარჯვენის გასყიდვით ირჩინოს თავი—ეს არის მუშა ხალხი, პროლეტარიატი. ამას მხარში უდგას და ხშირად გულთა-სწრაფვით და იდეურის გატაცებით წინაც ასწრობს მესამე წოდება, ე. ი. ინტელიგენცია,—ის ნაწილი ინტელიგენციისა, რომელიც ბატონ-ყმობის გაუქმებამ გლეხობისა და თავადობის წოდებიდან, საკუთრების უქონლობის გამო, გამორიყა და მშრალზე დასვა. გაერთდა იგი, ევროპის კულტურამ გაიტაცა, ევროპის პოლიტიკურმა წესწყობილებამ მოხიბლა. გაბიუროკრატებულ და გაჯარისკაცებულ ნაწილიდან თანდათან შეიქმნა, ეგრედ წოდებული, არისტოკრატია. მაგრამ, რუსეთის მესამე წოდებას, ე. ი. ინტელიგენციას ფეხქვეშ მკვიდრი ნიადაგი არა აქვს, რადგან იგი მოკლებულია ეკონომიურს სარჩულს, ამიტომ იგი, დღეს თუ ხვალ, უნდა დაექვემდებაროს ან კაპიტალის გავლენას ან შრომისას, ე. ი. ან ბურჟუაზიას მიემხროს, ან პროლეტარიატს. უკეთუ პირველს მიემხრობა, იგი უკუაგდებს პოლიტიკურს ელფერს და ხასიათს და მის მაგიერ აღიარებს და გამოესარჩლება ეკონომიურს გაბატონებას. თუ მეორე ძალას, ე. ი. პროლეტარიატს მისცემს მხარს, მაშინ უეჭველად მოითხოვს იგი (მათთან ერთად) მუშათა საკითხის გამორკვევას და აგრარიულ მოძრაობის უზრუნველყოფას.

ამ სახით, დღევანდელი მოძრაობა, ან როგორც მას უწოდებენ, რევოლუცია ორის გზით მიისწრაფვის წინ. მომავალ სახელმწიფო საბჭოში რომელს უნდა მიეცეს უპირატესობა?.. ქვეყნის საერთო ინტერესებისთვის რომელი უფრო შესაფერი და დამცველი გამოდგება?.. ადვილად შესაძლებელია, რომ ფაქტიურად სახელმწიფო საბჭოში უპირატესობა მეოთხე წოდებას არ მიენიჭება, მაგრამ იმ შემთხვევაშიაც კი, თუ საბჭომა მესამე წოდება მოიკიდებს ფეხს, მაინც გარეგანისა და შინაგანის ზეგავლენით, მის მისწრაფვებასა და მსვლელობას ძალა-უნებურად მეოთხე წოდება თავისდა სასარგებლოდ მიმართავს.

პრესსა

რუსეთის გაზეთებში დაბეჭდილი იყო კავკასიის ოლქის მზრუნველის ერთი წერილი, რომლითაც აღიარებდა, რომ პირველ-დაწყებითი სწავლა დედა-ენაზე უნდა სწარმოებდეს.

ამ კითხვის გამო სხვათა, შორის, გაზეთ „ნოვოე ვრემიამ“ დიდი აურ-ზაური ასტეხა: „რუსული ენა და რუსეთის ინტერესები იბლალებაო“.

ამის გამო, აი, რას უპასუხებს გაზეთი „მშაკი“.

„დამშვიდდნენ რუსის შოვინისტები და ნაციონალისტები! არავის არა სწადიან კავკასიაში უარჰყოს რუსულ ენის მნიშვნელობა. კავკასიის მთელის ხალხის პოლიტიკური, ეკონომიური, იურიდიული და კომერციული ინ-

---

ყვებით რომ ვთქვათ: დადგა 1848 წლის 18 მარტი!

აი, ამ დროს მოხდა ის, რაც ამ გამოკვლევის დასაწყისში ჩვენ, როგორც შეუძლებელ მაგალითით, წარმოვიდგინეთ. ჩვენ წარმოვიდგინეთ, რომ საზოგადოებამ დაჰკარგა კანონები ცეცხლის გამოისობით. ნამდვილად კი კანონები დაიღუპა არა ცეცხლით, არამედ აჯანყების გამო.

ძლევამოსილ რევოლუციის შემდეგ, არსებულ საზოგადოებრივ უფლების კანონები მოისპო, ან მათ მხოლოდ დროებითი მნიშვნელობა შერჩა; საჭირო შეიქნა ახალის კანონების შექმნა.

ამნაირად, აუცილებელ საჭიროებად გადაიქცა ახალის, დაწერილ კონსტიტუციის შედგენა,—და, აი, მეფემ მოიწვია ბერლინში საერო კრება, რომელსაც, როგორც ამბობდნენ ჯერ, უნდა შეედგინა ახალი დაწერილი კონსტიტუცია, ან და, როგორც შემდეგ ამბობდნენ, რომელსაც უნდა მიეღო მეფისაგან მისი შედგენილი კონსტიტუცია!

მაგრამ რა პირობებია საჭირო, რომ დაწერილი კონსტიტუცია კარგი და მკვიდრი გამოდგეს?

ცხადია, მხოლოდ ერთი პირობა—და იგი თავის-თავად გამომდინარეობს ამ ჩვენის გამოკვლევიდან: დაწერილი კონსტიტუცია უნდა შეესაბამებოდეს **ნამდვილ კონსტიტუციას**, ე. ი. **ძალთა რეალურ ურთიერთობას** სახელმწიფოში. რაკი **დაწერილი** კონსტიტუცია არ შეესაბამება **ნამდვილს**, მათ შორის შეტაკება იწყება, რომლის თავიდან აცილებაც ყოვლად შეუძლებელია და რომელშიაც დაწერილ კონსტიტუციას, უბრალო ფურცელ ქაღალდს, **ამარცხებს** ნამდვილი კონსტიტუცია, ძალთა ნამდვილი ურთიერთობა.

მაშ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ ამ შემთხვევაში?

პირველ ყოვლისა, უნდა ეზრუნათ დაწერილზე კი არა, ნამდვილ კონსტიტუციაზე, ე. ი. ძალთა არსებულ ურთიერთობის შეცვლაზე მოქალაქეთა სასარგებლოდ.

მართალია, 18 მარტმა გამოააშკარავა, რომ ხალხის ძალა მაშინ უკვე აღემატებოდა ჯარისას. დიდის ხნის მწვავე ბრძოლის შემდეგ, ჯარი იძულებული შეიქმნა უკან დახეულიყო.

მაგრამ მე უკვე მივაქციე თქვენი ყურადღება იმას, თუ რა დიდი განსხვავებაა ხალხის ძალასა და ჯარის ძალას შორის: თუნდაც ხალხის ძალა მეტი იყოს ჯარისაზე, მაინც ეს უკანასკნელი სჯობნის პირველს, როცა მოქმედება დიდხანს გასტანს და არ შეწყდება.

ამის მიზეზი ის არის, რომ ერის ძალა მოუწყობელია, ჯარის ძალა კი—მოწყობილი; ჯარს შეუძლიან ყოველ დღეს განაახლოს ბრძოლა, ამიტომ ის ხშირად იმარჯვებს უფრო ძლიერს, მაგრამ მოუწყობელს ხალხზე, რომელსაც მხოლოდ აღელვებისა და აღფრთოვანების დროს შეუძლიან მჭიდრო და მწყობრი რაზმი შეადგინოს. ამიტომაც 18 მარტის გამარჯვება უნაყოფო შეიქნა; ეს ბედნიერი მომენტი კარგად ვერ გამოიყენეს: მაშინ რომ ჯარის რეორგანიზაცია მოეხდინათ ისე, რომ იგი მეფის ხელში ხალხის დასამონავებელ იარაღად აღარ დარჩენილიყო, რევოლუცია თავის ნაყოფს გამოიღებდა—იგი ძალთა განწყობილებას, ე. ი. ნამდვილ კონსტიტუციას, ხალხის სასარგებლოდ შესცვლიდა.

მაგ., უნდა შეემოკლებიათ სამხედრო სამსახურის ვადა ექვს თვემდე. სამხედრო ავტორიტეტები სრულიად საკმარისად აღიარებენ ამ ვადას სამხედრო მოქმედების შესასწავლად; მეორე მხრივ, ეს ვადა იმდენად მოკლეა, რომ ჯარის კაცს ვერ ჩაუნერგავენ კასტიურ ხასიათს; იმდენად მოკლეა, რომ საჭიროდ ხდება ხშირ-ხშირად შეივსოს მუდმივი ჯარი ხალხისაგან, და ამით მეფის ჯარი ხდება სახალხო ლაშქრად.

შემდეგ, საჭირო იყო კიდევ დაედგინათ, რომ ჯარის-კაცებს ყოველგვარ დანაშაულობისთვის, გარდა სპეციალურ სამხედრო დანაშაულობისა, ასამართლებს ჩვეულებრივი სამოქალაქო სასამართლო. ასეთი კანონი შეაგნებინებდა მათ, რომ ისინი არიან ხალხის ნაწილი, და არა რაღაც სხვა, განსაკუთრებული რამ კასტა.

ყველა ზარბაზნები და, საზოგადოდ, იარაღები უნდა გადაეცათ შესანახად ქალაქების თვითმართველობათათვის, რომლებსაც ირჩევს ხალხი; ჯარისთვის უნდა დაეტოვებინათ მხოლოდ იმდენი, რამდენიც საჭიროა სამხედრო ვარჯიშობისთვის. უნდა შეედგინათ სახალხო მილიცია, ეროვნული გვარდია და გადაეცათ ამათთვის არტილერიის ერთი ნაწილი, ე. ი. უნდა მიეცათ ხალხისთვის ზარბაზნებიც, ეს საყურადღებო ნაწილი კონსტიტუციისა, მაგრამ 1848 წ. გაზაფხულზე და ზაფხულში ხალხს ესენი არცერთი არ უქმნია და, რაღა საკვირველია, რომ რევოლუციამ უნაყოფოდ ჩაიარა, რომ ნოემბერმა სრულიად გააქარწყლა მარტის რევოლუცია. რეაქცია აუცილებელი შედეგი იყო მისი, რომ ძალთა ფაქტიურ განწყობილებაში ცვლილება არ მოახდინეს.

მეფეებს ყოველთვის უკეთესი მოსამსახურეები ჰყოლიათ, ვიდრე ხალხს, მეფის მოსამსახურეები არ არიან ისეთი მჭევრმეტყველნი, როგორნიც არიან ხშირად ხალხის მოსამსახურენი. ისინი არიან საქმის კაცები, ისინი ინსტინქტიურად იგებენ, რაშია საქმე, სად არის ძალა. ბ. ფონ-მანტეიფელი ცუდი ორატორი იყო. სამაგიეროდ, ის იყო საქმის კაცი! როცა მან 1848 წ. ნოემბერში გამორეკა ნაციონალური კრება და გამოიტანა ქუჩებში ზარბაზნები, ამის შემდეგ—როგორ, გგონიათ,—რეაქციონურ კონსტიტუციის ჯღაბნას შეუდგა? არა! მან კარგად იცოდა, რომ ამას ყოველთვის მოასწრებს! 1848 წ. დეკემბერში მან თვითონ მისცა ხალხს დაწერილი მოლიბერალო კონსტიტუცია. მაშ რას შეუდგა ის თავდაპირველად ნოემბერში? რა იყო მისი პირველი ნაბიჯი? პირველ ყოვლისა, მან იარაღი აჰყარა ხალხს!.. ამ გამოკვლევის დასაწყისში ჩვენ ძალიან მძიმედ ვირჯებოდით, როცა კონსტიტუციის ცნებას ვიკვლევდით. შეიძლება ზოგს ეს მოეჩვენა **მეტის-მეტად** მძიმედ. მაგრამ, სამაგიეროდ, ჩვენ დავინახეთ, რომ ამ ცნებამ, კონსტიტუციის დედა-აზრმა, მაშინათვე წინ გადაგვიშალა, თავისთავად დაალაგა საოცარი დასკვნები, და ჩვენ ახლა ბევრად უკეთესად, უფრო ნათლად, ღრმად ვიცით, რაშია საქმე, ვიდრე სხვებმა; ეს კიდევ ცოტაა, ჩვენ ისეთ დასკვნამდე მიგვიყვანა ჩვენმა გამოკვლევამ, რომელიც პირდაპირ ეწინააღმდეგება საზოგადოდ მიღებულ შეხედულებებს. გავსინჯოთ მოკლედ კიდევ რამდენიმე ასეთი დასკვნა.

როგორც ახლა ვნახეთ, 1848 წ. არ მიუღიათ არც ერთი ზომა ძალთა არსებულ ურთიერთობის შესაცვლელად და მეფის ჯარის სახალხო ლაშქრად გადასაქცევად.

მართალია, ერთი წინადადება იყო შეტანილი ამ მიზნისთვის ნაციონალურ კრებაში—ეს იყო შტეინის წინადადება, რომელიც თხოულობდა, ვაიძულოთ სამინისტრო, რომ მან არმიიდან განდევნოს რეაქციონური აფიცრებიო,—მაგრამ მიიღო თუ არა ნაციონალურმა კრებამ ეს წინადადება, მთელმა ბურჟუაზიამ და მთელმა სახელმწიფოს ნახევარმა ნაწილმა მორთო ყვირილი: ნაციონალურ კრების საქმეა კონსტიტუციის შედგენა და არა სამინისტროსთან ქიშპობა; ნუ ერევა აღმასრულებელ ძალის საქმეებშიო; თუ ადგენთ, შეადგინეთ კონსტიტუცია, სხვა თქვენი საქმე არ არისო,—ჰყვიროდნენ ისინი.

მთელს ბურჟუაზიას, მთელის ქვეყნის ნახევარს, ვინც ამას ლაპარაკობდა, არა გაეგებოდა-რა კონსტიტუციისა.

კონსტიტუციის შეთხზვა სულ ადვილი საქმეა; სამ დღეში დასწერდნენ მას, თუ საჭირო შეიქმნებოდა; ამიტომ ამისთვის ბოლოს უნდა ეფიქრებიათ; ნაადრევად შედგენილი კონსტიტუცია კი ფუჭი გამოდგა. ძალთა ნამდვილ, ფაქტიურ ურთიერთობის შეცვლა, აღმასრულებელ ძალის გადაკეთება ისე, რომ მას აღარ შესძლებოდა თავის-თავად წინააღმდეგობის გაწევა მთელის ერის სურვილისათვის,—აი, რა იყო უპირველესი, უსაჭიროესი საქმე, აი, დაწერილ კონსტიტუციის მკვიდრი ნიადაგი რა არის.

რადგანაც ნაციონალურმა კრებამ მეტად ადრე დაიწყო კონსტიტუციის შედგენა, ამიტომ აღმასრულებელმა ძალამ, რომლის ხელშიაც ხელუხლებლად იყო დარჩენილი ფაქტიური ძალა, არც დააცალა მისი გათავება, ისე განდევნა იგი.

მეორე დასკვნა: წარმოვიდგინოთ, რომ ნაციონალური კრება არ გაურეკიათ, რომ მან მართლაც შეიმუშავა და დაადგინა კონსტიტუცია.

მერე, შესცვლიდა ეს ცოტათი მაინც არსებითად საქმის მსვლელობას?

სულაც არა, და ამას თვით ფაქტები ამოწმებს. თუმცა ნაციონალური კრება აღარ იყო მაგრამ მისგან დატოვებულ ქაღალდებით მეფემ თვითონ შეადგინა და გამოაქვეყნა 1848 წ. 5 დეკემბერს დაახლოვებით ისეთივე კონსტიტუცია, როგორსაც ხალხი მოელოდა საერო კრებისაგან.

ეს კონსტიტუცია ძალით როდი მოუხვევიათ მეფისთვის თავზე. იგი მან თავის ნებით მისცა ხალხს გამარჯვების შემდეგ. მით უფრო მოსალოდნელი იყო, რომ იგი იქმნებოდა მკვიდრი, რომ იგი სავსებით განხორციელდებოდა ცხოვრებაში.

მაგრამ არა, ბატონებო! არასოდეს არა! ბაღში ვაშლის ხე რომ იდგეს და ზედ დავაწეროთ ეს ლეღვი არისო—გახდება იგი ლეღვად? არასოდეს! ყველა შინაურები და მთელი სოფელი რომ შეგროვდეს და ერთხმად გადაწყვიტონ, ეს ლეღვი არისო, მაინც იგი ლეღვი არ იქმნება და ჭეშმარიტება გამომჟღავნდება მაშინ, როცა ხე ნაყოფს გამოიღებს.

ასეა კონსტიტუციის საქმეც. სულ ერთია, რასაც დასწერთ ფურცელ ქაღალდზე, რაკი იგი ეწინააღმდეგება სინამდვილეს, ძალთა რეალურ ურთიერთობას. 1848 წ. 5 დეკემბერს მეფემ ბევრი რამ დაუთმო ხალხს; მაგრამ ეს დათმობა ეწინააღმდეგებოდა ნამდვილ კონსტიტუციას, ძალთა ფაქტიურ ურთიერთობას, რადგანაც მეფემ მთელი ფაქტიური ძალა ისევ თვითონ დაიტოვა ხელში. ამიტომ ნამდვილ კონსტიტუციას თანდათან უნდა გამოეხეთქა, დაეღეწა დაწერილი კონსტიტუცია ისეთისავე აუცილებლობით, როგორც მოქმედებს მიმზიდველობის კანონი.

ასედაც მოხდა. თუმცა სარევიზიო კრებამ მიიღო 1848 წ. 5 დეკემბრის კონსტიტუცია, მაგრამ მეფემ ძალიან მალე შეიტანა მასში პირველი დიდი ცვლილება—1749 წლის სამკლასიანი საარჩევნო კანონი. ამ კანონმა შექმნა პალატები; ამ პალატების საშუალებით კი კიდევ უფრო ბევრი არსებითი ცვლილებანი შეიტანეს კონსტიტუციაში. 1850 წელს მეფემ შეჰფიცა კონსტიტუციას, და სწორედ ახლა დაიწყო მისი შეცვლა და გადაკეთება! 1850 წლის შემდეგ ისე წელიწადს არ გაუვლია, რომ კონსტიტუცია არ შეეკვეც-შეესწორებინათ! ას ბრძოლაში ნამყოფი დროშა არ იქმნება ისე დაფხრეწილ-დაცხავებული, როგორიც არის პრუსსიის კონსტიტუცია.

მესამე დასკვნა: ქალ. ბერლინში არის ერთი დასი, რომლის ორგანოდაც ითვლება „სახალხო გაზეთი“; ეს დასი თრთოლვით ებღაუჭება ამ დაფლეთილ დროშას, ამ დასახიჩრებულ კონსტიტუციას, თავისს თავსა სთვლის „კონსტიტუციის ერთგულ მომხრედ“ და სულ ასე ჰგოდებს: „მაგრა ჩაჰკიდე ხელი კონსტიტუციას, ღვთის გულისათვის, არ გაუშვათ ხელიდან! ვიღუპებით, დაიძრა ცა და ქვეყანა! გვიშველეთ!“

როცა ხედავთ ისეთს პარტიას (სულ ერთია, სად ან როდის ხედავთ), რომელიც საბრძოლველად მოწოდების მაგიერად წუწუნით ევედრება ხალხს,—„მაგრა მოებღაუჭეთ კონსტიტუციას, არ გაუშვათ ხელიდანო“,—რა დასკვნა უნდა გამოიყვანოთ აქედან? მე აქ არ ვეხები თქვენს მისწრაფებას, თქვენს სურვილებს:—მე მხოლოდ თქვენს გონებას მივმართავ: როგორ დასკვნას გამოიყვანთ აქედან?

თუმცა თქვენ წინასწარმეტყველები არა ხართ, მაგრამ მაინც დაბეჯითებით, გადაჭრით იტყვით ამ შემთხვევაში: **ასეთი** კონსტიტუცია სულსა ლევს, ის უკვე თითქმის მკვდარია: რამდენიმე წელიწადი და—მისი მხოლოდ ხსოვნა და მოგონება-ღა დარჩებაო უთუოდ.

მიზეზიც ცხადია. როცა დაწერილი კონსტიტუცია შეეფერება სახელმწიფოში არსებულ ძალთა ფაქტიურ ურთიერთობას, მაშინ ასეთს გოდებას ადგილი არა აქვს. ასეთს კონსტიტუციას ვერავინ ვერ მიუახლოვდება, ვერავინ ვერ გაბედავს მის ხელის ხლებას. ასეთს კონსტიტუციასთან ბრძოლას ვერავინ ვერ დაიწყებს და, თუ დაიწყო, ცუდი დღე დაადგება. სადაც დაწერილი კონსტიტუცია შეესაბამება ძალთა რეალურ ურთიერთობას, იქ შეუძლებელია, რომ რომელმამე პარტიამ ბრძოლის ლოზუნგად წამოაყენოს: „კონსტიტუციას ხელი არ უშვათო“! ასეთი ყვირილი თავის-თავად უტყუარი ნიშანია მისი, რომ იგი—შიშის ნაყოფია, შეშინებულის გოდებაა; იგი ამტკიცებს, რომ დაწერილ კონსტიტუციაში არის ისეთი რამ, რომელიც ეწინააღმდეგება ნამდვილ კონსტიტუციას, არ შეესაბამება ძალთა ფაქტიურ ურთიერთობას. ხოლო საცა ასეთი წინააღმდეგობა არსებობს, იქ დაწერი-

ტერესები თხოულობს, რომ სახელმწიფო ენა გავრცელდეს ჩვენს ქვეყანაში. გარდა ამისა, რადგანაც ჩვენ რუსულ კულტურის გავლენის ქვეშ ვართ, საჭიროა კარგად ვიცოდეთ რუსული ენა, რომ შეგვეძლოს ამ კულტურითა და, განსაკუთრებით, რუსულ ლიტერატურით ვისარგებლოთ, თუმცა ჩვენ დღევანდლამდის მოგვითხოვნია და კიდევაც მოვითხოვთ, რომ სკოლებში დედა-ენას ადგილი მიეცეს და თანამედროვე პედაგოგიურ მოთხოვნილებათა მიხედვით ჩვენმა ყმაწვილებმა სწავლა თავის საკუთარ დედა-ენაზე მიიღონ. როგორც თვით რუსისათვისაა საჭირო თავისი ენა და საკუთარი ლიტერატურა, ისე ქართველისა, სომეხისა და თათრისათვისაც საჭიროა თავისი დედა-ენა და მასთან ერთად რუსული ენაც, ვინაიდან ჩვენ რუსეთის მოქალაქენი ვართ და რუსულ ენის ცოდნა ცხოვრებაში ყოველს ნაბიჯზე გვჭირია".

ხალხი, ხალხის უმეტესობა „მშაკის" აზრს ვერ დაეთანხმება, ვერ დაეთანხმება, სხვათა შორის, იმიტომ, რომ სახელმწიფოში თანასწორობის დამყარება მოითხოვს ენების თანასწორობას, მოითხოვს იმას, რომ ყველას, განურჩევლად ეროვნებისა, შეეძლოს იცხოვროს ისე, რომ მხოლოდ თავისი დედა-ენა იცოდეს, როგორც ახლა ამის საშუალება აქვს შიდა-რუსეთში მცხოვრებელს. ნამდვილი დემოკრატიული პრინციპი მოითხოვს იმას, რომ სასამართლოს, და ადმინისტრაციის ენად ხალხის ენა შეიქმნეს და არა რაღაც განყენებული ცნება, როგორიც არის სახელმწიფო ენა, სახელმწიფოში ერთ ეროვნების გამაბატონებელი, ვინაიდან მხოლოდ მაშინ ხალხს შეეძლება მიიღოს ყველა საქმეში სრული მონაწილეობა და მიაღწიოს თანასწორობას.

რუსეთი

მთავარ შტაბის უფროსმა სთხოვა პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორს, პეტერბურგში მცხოვრები **პორტ-არტურის დამცველები აქედან გააძევეთო.** მიზეზად იმას ასახელებს, რომ პორტ-არტურის გმირებს განუწყვეტელი მისვლა-მოსვლა და მოლაპარაკება აქვთ პეტერბურგის ჯართან და მოუსვენარ აგიტატორებთან, რომელნიც ჯარში ცუდ ხმებს ავრცელებენ და პროპაგანდას სწევენო. პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორმა ბრძანება გასცა პორტ-არტურის დამცველების განდევნის შესახებ პეტებურგიდან (რ. ვ.).

✦ დვინსკის გუბერნატორმა დაპატიმრება და მერე ქალაქიდან **განდევნა გადაუწყვიტა** 89 მამა-კაცსა და დედა-კაცს, რომელთაც დემონსტრაციაში მიიღეს მონაწილეობა (რ. ვ.).

✦ 10 ივლისს ლიბავაში დაასაფლავეს **კაზაკ რუსებისგან მოკლული** მეეტლე. დასაფლავებას რამდენიმე ათასი კაცი დაესწრო. სასაფლაოზე დიდ ხანს სარევოლუციო სიტყვებს ამბობდნენ და მარსელიეზას მღეროდნენ. საქმე პოლიციასთან შეტაკებით გათავდა. **მოკლულ იქმნა ჟანდარმის უნტერ-აფიცერი** და დაიჭრა მეორე ჟანდარმი. დემონსტრანტები დაშლილან (რ. ვ.).

✦ მინსკში **დიდი არეულობა მომხდარა.** პოლიციის ჰრავალი დაუპატიმრებია. მოკლული და დაჭრილი ბლომად არის (რ. ვ.).

✦ 15 ივნისს პეტერბურგში ვინმე ვასილიევმა **ხუთის ტყვიით მოჰკლა** პოლიციის უბნის ზედამხედველი კავოლინი. ეს ის კავოლინი იყო, რომელსაც მატროსებმა ისე სცემეს, რომ ორითვე საავადმყოფოში იყო. ეს საქმე პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორმა სამოქალაქო სასამართლოს ჩამოართვა და სამხედრო სასამართლოს გადასცა. 15 ამ თვეს პეტერბურგის სამხედრო სასამართლომ განიხილა ვასილიევის საქმე და ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა (ნ. დ.).

✦ ბოქაულის კუიარევის მკვლელი სიდორჩუკი **სამხედრო სამართალში მისცეს** (რ. ს.).

✦ ვარშავასა და ვენას შუა გაყვანილი რკინის გზა უმეტესად პოლონელებს ეკუთვნის. ამ გზის ადმინისტრაციამ ამის წინად გადასწყვიტა, მიწერ-მოწერა და ანგარიშები პოლონურ ენაზე აწარმოვოს და ლაპარაკიც პოლონური იყოსო. რუსეთის მთავრობამ ეს დადგენილება გააუქმა, რაიც გზის ადმინისტრაციას შეატყობინა. 16 ივლისს ადმინისტრაციამ ამის შესახებ კრება მოახდინა და დაადგინა: **მიწერ-მოწერა უეჭველად პოლონურ ენაზე უნდა იყოს.** ამის ნებას გვაძლევს მინისტრთა საბჭოს დადგენილება, რომელიც ხელმწიფისგან დამტკიცებულია; მინისტრები კი ამ დადგენილებას არ ემორჩილებიანო (რ. ს.).

ლი კონსტიტუცია დაღუპულია, მას ვერავითარი ღმერთი, ვერავითარი გოდება და წუწუნი ვეღარ დაიხსნის!

იგი გადიწევს ან მარჯვნივ ან მარცხნივ, ერთ ადგილზე გაჩერება კი მას აღარ შეუძლიან. ამას ამტკიცებს თვით აღმფოთებული ბღავილი კონსტიტუციის შეუცვლელობაზე. იგი გადიწევს მარჯვნივ, როცა მთაერობა მოინდომებს მისს შეცვლას ისე, რომ შეუთანხმოს იგი ფაქტიურ მოწყობილ ძალას. ან მის წინააღმდეგ გაილაშქრებს ხალხის მოუწყობელი ძალა და ხელახლად დაამტკიცებს, რომ მისი ძლიერება აღემატება მოწყობილ ძალას. ამ შემთხვევაში კონსტიტუცია გაუქმდება და გადიწევს მარცხნივ და შეეთანხმება ძალთა რეალურ განწყობილებას. ყოველ შემთხვევაში ასეთი კონსტიტუცია დაღუპულია.

ვინც დაიმახსოვრებს და ჩაუფიქრდება ამ სიტყვებს და მათგან ყველა საჭირო დასკვნასაც გამოიყვანს, იგი ამით მთელს საკონსტიტუციო სიბრძნეს შეიძენს. საკონსტიტუციო ყოველი საკითხი, პირველ ყოვლისა, **ძალის** და არა უფლების საკითხია; **ნამდვილი კონსტიტუცია რომელისამე სახელმწიფოსი მხოლოდ მასში არსებულ ძალთა რეალური ფაქტიური ურთიერთობა არის. დაწერილ კონსტიტუციებს მხოლოდ მაშინ აქვს მნიშვნელობა და სიმკვიდრე, როცა ისინი ძალთა ნამდვილი ურთიერთობის სრული გამომხატველნი არიან,**—აი, ის პრინციპები, რომლებიც მუდამ უნდა გვახსოვდეს ყველას. ეს პრინციპები აქ დაწვრილებით ახსნილი არის და განმარტებული **სამხედრო** ძალის მხრივ მხოლოდ იმიტომ, რომ დრო ნებას არ გვაძლევდა ყოველის მხრიდან შეგვეხედნა ამ საგნისთვის, და იმიტომაც, რომ სამხედრო ძალს უმთავრესი და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოში. მაგრამ თქვენც იცით, რომ ასევე ითქმის სასამართლოებისა და ადმინისტრაციის მოხელეთა შესახებ: ესენიც გაერთიანებულ, მოწყობილ ძალებს წარმოადგენენ. მაშ დავიმახსოვროთ ეს სიტყვა კარგად; როცა ადამიანს დასჭირდება კონსტიტუციის შედგენა, უნდა იცოდეს, როგორ მოიქცეს; **უნდა იცოდეს, რომ საქმე კეთდება ძალთა ფაქტიურ ურთიერთობის შეცვლით და არა ქაღალდების შედგენით.**

ბიბლიოგრაფია

(„საფლავის ქვაზე", ვ. ბარნოვისა. „მოამბე" № მესამე, 1905 წ.)

მწერლობა თავისის დანიშნულებით ცხოვრების სარკეა, მასში უნდა გამოიხატებოდეს მისი ავი და კარგი, მისი გასაჭირი და სიხარული, ერთის სიტყვით, რუსთაველის არ იყოს,—მწერალმა უნდა დასწეროს „საღმრთო საღმრთოდ გასაგონი მსმენელთათვის დიდი მარგი". ამ უტყუარს ჭეშმარიტებას ხშირად ღალატობს ერთად-ერთი ქართული ყოველთვიური ჟურნალი „მოამბე".

ეს, სხვათა შორის, იქიდანაც სჩანს, რომ მას ბ-ნ ვას. ბარნოვის მოთხრობისთვის („საფლავის ქვაზე") ადგილი დაუთმია. შინაარსი ამ მოთხრობისა, რომელიც გაუჭიანურება 13 გვერდზე, მარტივია: ერთი „ხორცის მშვენებით" შემკული ახალგაზდა ქალი მარეხი უფროსთა ხათრით გაჰყვება ცოლად ხნიერს ალმასხანს, რომელსაც მარეხი გაგიჟებით უყვარს. თვით მარეხს ალმასხანი კი არ უყვარს... გარდაიცვალა ალმასხანი და მარეხი თავისს მეზობელს ზურაბს უცხადებს თანაგრძნობას... მორჩა და გათავდა.

არის თუ არა ამ შემთხვევაში რაიმე თანამედროვე აზრი?! არ არის. მოთხრობა აკინძულია საშუალო საუკუნოების-მიერ გადმოცემულს რომანიულს ძაფზე, რომელსაც ჩვენს დროში ფასი და გასავალი დაეკარგა. რომანიულ სიყვარულის თემები—გამომსახველია ძველის დროისა, როდესაც მამაკაცთა და დედაკაცთა შორის დიდი განსხვავება არსებობდა და დედაკაცი მეტად დაჩაგრული—მეტად დაბეჩავებული არსება იყო. რომანიულ სიყვარულის თემები—ფეოდალურ-ბატონ ყმურია.

ვინ არიან ბ-ნ ბარონოვის მომქმედი პირები. ალმასხანი და მარეხი?.. ვფიქრობთ—ქართველები არიან... სახელები ქართული ჰქვიათ; მოთხრობა კი არას გვეუბნება მათის გვარ-ტომობის შესახებ. განათლებულნი არიან თუ გაუნათლებელნი?! შინაარსის ხასიათის მიხედვით, უნდა ვიფიქროთ, რომ სოფლის უსწავლელი მცხოვრებნი არიან. თუ ეს ასეა, მათი დალაგებული საუბარი, მათი შეტოპვა ფილოსოფიის მორევში მეტად გვაკვირვებს. ავტორი ასეალაპარაკებს ალმასხანს: „ახლოს ვარ ქალთან, თითქო მივწვდი კიდეც მის არსებას, მის პიროვნებას; მაგრამ როცა ხელს გავატან(?!), მხოლოდ ოცნება მრჩება ხელში(?!). წინ მიდგა მწყურვალს ანკარა წყალი, გარნა თუ დავეწაფე, მშორდება ბაგითგან. ახლოს ვარ ქალთან, როგორც მეუღლესთან, მკერდსა მყავს იგი მიყრდნობილი, მაგრამ შორსა ვარ მის არსებისაგან, ვერა ვხედავ მის პიროვნობას, ბუნდია იგი ჩემთვის,—მოსული სიბნელით, განუჭვრეტელი სიბნელით, როგორც რამ საიდუმლო".. მოვისმინოთ ზურაბისა და მარეხის ფილოსოფიაც. ისინი ურთიერთ შორის საუბრობენ ალმასხანის გარდაცვალების წლის თავზე:

— დიაღ, შორს არიან გაცილებულნი ჩვენგან, დიდი მზღვარია სიკვდილ-სიცოცხლის შუა. (მარეხი).

— რამოდენად არსებობის და არარაობის შუა.

— ეჰ, ჩვენც ერთხელ ესევე უნდა განვქრეთ.

— მანამდის კი უნდა დავტკბეთ არსებობით, ამ უძვირფასეს განძით, რომელიც მოგვნიჭებია გამჩენისაგან. უნდა შევტრფოდეთ ცასა და ქვეყანას... უნდა შევტრფოდეთ ერთმანერთს. ჩემის ცხოვრების ყვავილი ჯერ ისევ კოკორშია გაუფურჩქნავი, შენ უნდა გაუხდე მას, მარეხი, მალხინებელ სხივად, რომ გადაიშალოს იგი სუნად, სუნნელად".

ნეტავი სად შეითვისეს ასეთი მჭევრმეტყველური ენა მოთხრობის გმირებმა, სოფლის უსწავლელ ხალხის შვილებმა?! მათს საუბარში ჩვენ ბუნებრივობას ვერ ვხედავთ. ის ხელოვნურად შეთხზულია თვით ავტორისაგან. ვერაფერს შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე მარეხი. მას ქართველ ქალობა არ ეტყობა. ქართველ ქალის უმაგალითო სიყვარული ქმრისადმი განთქმულია. ქართულმა მწერლობამ დაგვიხატა ჩვენის ცხოვრებიდან ამოღებული ქართველ ქვრივ ქალების მეტად მოსაწონი და ცოცხალი ტიპები („ოთარაანთ ქვრივი" ილ. ჭავჭავაძისა, „მამიდა ასმათი" გიორგი წერეთლისა), რომელთ საშუალებით შეგვიძლიან ქართველ ქალის მაღალ ზნეობის შესახებ უტყუარი დასკვნა გამოვიყვანოთ.

ამ მოთხრობათა მიხედვით, ჩვენი ქართველი ქვრივი ქალები არ არიან მიმდევარნი ქვენა, წუთიერ ვნებისა, თავის ერთგულებასა და სიყვარულს გარდაცვალებულ ქმრების მიმართ ხშირად, ძლიერ ხშირად კუბოს ფიცრამდისაც არა ჰღალატობენ... ამის მეოხებით შესაძლო გახდა, რომ ჩვენს ორს საუკეთესო მწერალს დაეხატა ქვრივი ქალების ტიპები აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოსი. მარეხი კი ჩვენზე ახდენს ზნეობით დაცემულ ქალის შთაბეჭდილებას. ამის შესახებ თვით ავტორი ვალაპარაკოთ.

— „გინახავს ძაძით მოსილი ქესკუმი ქვრივი, ქვევ-ქვეით რომ მიდის მალხაზი და გავლილ გზას სურვილთა ფურცლით ჰფენავს?!—არ გითვალიერებია?! რა უშნო ხარ!"

თვითონ დედამთილი, ალმასხანის დამკარგავი, რომლისთვის შვილის სიკვდილის შემდეგ „ქვეყანა ცალიერი და ბნელი დარჩა" (გვ. 6.), ძველ ქართველ ქალის ზნეობის წარმომადგენელი, სამართლიანად უსაყვედურებს თავის რძალს:

— „ქალო! ჯერ შენი საბრალო ქმარი საფლავში არ გაციებულა, შენ კი ლაღობ და ლამის შეურაცხჰყო მისი სახელიო"...

ერთხელ ქმრის საფლავზე მჯდომს მარეხს ზურაბმა საუბარი დაუწყო.

ქალმა „თავი დახარა, ვარდის ფერი გადაეფინა ოდნავ მკრთალს სახეზე; ზამბახის ტოტს დაუწყო ხელში ტრიალი, მუხლებზე რომ ედო, იმ ხელში... ვაჟი ზამბახს შეეხო. ქალმა ოდნავ გასწია მაჯა, არ კი გააცალა... ვაჟკაცი სურვილით დაეწაფა ნაქანდაკებ მაჯას" (გვ. 12—13)ა ამას სჩადის ერთის წლის ქართველი ქვრივი ქალი ქმრის საფლავის ქვაზე... არა გვჯერა, რომ ამისი მსგავსი ქართველი ქალი ჯერხანად ხშირად გვხვდებოდეს ცხოვრებაში, შესაძლოა—ქვრივი ქალი გათხოვდეს, სხვა მეგობარი მოსძებნოს, სხვას გაჰყვეს მეუღლედ. ეს ცოდვა არაა. მაგრამ რომ მარეხისთანა ქვრივი ბევრი იყვეს საქართველოში, არა გვჯერა... შესაძლოა სადმე, აქა-იქ იყვეს ორიოდე ქალი ამისი მსგავსი, მაგრამ მათს პიროვნებას საზოგადოებრივი მნიშვნელობა არას გზით არ შეუძლიან ჰქონდეს. გვეხამუშება შემდეგი წინადადებანი მოთხრობაში: „ძალიან მომწონს ხორცის მშვენება!?" „მარგალიტად აგორებულა ცვარი ცრემლისა ეშხით გაღვივებულ ლოყაზე" (გვ. 1). „ერთ წამს, პირველ ჟამს ხომ დიდებული ნეტარება უნდა იგრძნონ შეყვარებულთ" (გვ. 5); „ზურაბს მოეწონა ქვრივი მარეხი და ნანობდა,—რად ჰყავდა ის აქამომდე სხვას, სხვა რად სრესდა მას". (გვ. 8)...

ამგვარად, ხსენებული მოთხრობა დაწერილია „ვიწრო დეკადენტურს" გემოვნებაზე; მასში თანამედროვე ჩვენის ცხოვრების ნამდვილი აზრი არაა გატარებული. მას არ შეუძლია ახალი რამე შესძინოს ჩვენს ჭკუა-გონებას, ჩვენს ზნეობას,—ჩვენს გაადამიანებას. ამის მსგავს მოთხრობების წერა მეოცე საუკუნეში უნაყოფოდ დროს დაკარგვად მიგვაჩნია. საუკეთესო იქნება, ავტორმა თავისი ყურადღება ჩვენს დიდებულს მშობლიურ წარსულს და ან „თანამედროვე სინამდვილეს" მიაქციოს და იმას შეუფარდოს თავის მოთხრობათა შინაარსი.

ილ. ფერაძე.

კორესპონდენცია

სოფ. ხაშმი (ტფილ. მაზრ.). პირველმა აფეთქების ხანამ გაიარა და სოფელი ახლა უფრო შეგნებით მისდევს ცხოვრების მიმდინარეობას.

პოლიციურმა მართვა-გამგეობამ ხალხი დაამონავა, თვითმოქმედების უნარი მოუსპო, „ერთობამ" კი ეს მაჯლაჯუნა რაოდენათმე შებერტყა. გამოფხიზლებული ხალხი თავის ცხოვრებას კვალში ჩაუდგა. თვით ხალხი უნდა იყოს თავის თავის პატრონი და ბატონი,—ამბობს დღეს ხალხი...

ხაშმზე მოსულმა ეგზეკუციამ ხალხს უფრო ცხადად დაანახვა, ვისთან ჰქონია საქმე; დაარწმუნა, რომ „ძველებურად" ცხოვრება აღარ შეიძლება...

2 ივლისს აქაურ მედუქნის ი. ე—ს ნაქურდალი ხარები აღმოაჩნდა. სოფლის მზრუნველებმა იმ დროს მიუსწრეს, როდესაც მედუქნეს ერთი ხარი უკვე დაეკლა და ატყავებდა. მედუქნემ ჩვენება არევ-დარევა და ბოლოს გამოტყდა: ეს ხარები მედანდოელმა ყასუმას შვილმა სამადამა და იმისმა ამხანაგმა მომაჰრეკაო. ცოცხალი ხარი ჩამოართვეს, დაკლულისა—ფული გადაახდევინეს და თუმცა „სოფლის ერთი პატიოსანი კაცი" იძახდა: თუკი თათრისაა, რაში გვენაღვლებაო—მაგრამ ახალ თაობამ ეს ამბავი მედანდოს მამასახლის შეატყობინა. რამდენიმე დღის შემდეგ, სოფელში მოვიდა ყარაიაზელი თათარი სტრაჟნიკით და ხარი პატრონს ჩააბარეს.

ახალ თაობისავე მეთაურობით, 100 მეკომურმე სოფელში წისქვილისა და სასმელი წყალი გამოიყვანა.

ვენახებისა და მინდვრის შემუშავება დაგვიანდა. შიშიდით შეწუხებული ხალხი ღამის წელში გაწუდეს.

ჩვენში მიწების მოუწესრიგებლობასა და სამცირეს ნიადაგ აყალ-მაყალი მოსდევს: ზოგმა, არც კი იცის—სადაა იმისი მიწა, ან ვინა ხმარობს,—ხარჯს კი იხდის; ზოგებს სულაც არა აქვთ მიწები, რის გამოც მეტად შევიწროვებულნი არიან...

თვალ-ყურა.

—

სამეგრელო, 20 ივლისი. როგორც მოგეხსენებათ, არც სამეგრელოს სძინავს ამჟამად. აქაურებიც თვალ-ყურს ადევნებენ თანამედროვე ცხოვრებას. მოუთმენლად მოელიან იმ დღეს, როცა რაიმე შვება მიეცემა და განთავისუფლდებიან ათასნაირ გაჭირვებისაგან. მანამდის-კი ყოველ გვარს ტანჯვასა და წვალებას ითმენენ. აქაურ თავადებსა და გლეხთა შორის არასასიამოვნო განწყობილებაა ჩამოვარდნილი, არც ერთს მხარეს არა აქვს ერთმანეთის ნდობა. ასე წარმოიდგინეთ, მიცვალებულის დასაფლავების დროსაც-კი არ იწვევენ ერთმანეთსა.

სამეგრელოს ზოგიერთ სოფლებში ახლა სიმშილობაა ჩამოვარდნილი. სიმინდის ფასი დღითი-დღე მატულობს. ასე რომ დღეს ფუთი სიმინდი იყიდება 65—70 კაპ. წლევანდელს სიმინდის ყანებსაც ჯერ-ჯერობით ვერაფერი პირი უჩანს.

აბრეშუმის მოსავალი აქა-იქ გვარიანი იყო. ფუთი ნედლი პარკი, ახალ-სენაკში მიტანილი, ფასობდა 12—15 მ. პარკის მყიდველნი ისევ სენაკელი ბერძნები და მათი აგენტები იყვნენ.

პირველ ხანებში, რა-კი „ერთობი"-ს ხმა გაისმა და ხალხიც ახმაურდა, ქურდობა-ავკაცობამ იკლო. ქურდ-ბაცაცებს თვით ხალხი სჭერდა და სოფლის ყრილობის თვალ-წინ სჯიდა. ახლა, სამწუხაროდ, ქურდობამ ისევ თავი იჩინა.

ტელეფონი.

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

21 ივლისი.

ნიუ-იორკი, 21 ივლისი. ვიტტე მოვიდა დილის 11 საათზე.

ვაშინგტონი. „ნიუ-ორკ ჰერალდი" ამბობს, იაპონელებს მეტად აუშალა ამერიკელების აღფრთოვანებამ იმის გამო, რომ კომურა ამერიკას ეწვია და ტაფტი იაპონიას. იაპონელები ამას განსაკუთრებულ მეგობრობად ჩასთვლიან და ამის გამო ეხლა კონტრიბუციად სამს კი არა ხუთ მილიარდ იენს თხოულობენ.

ნიუ-იორკი. ვიტტემ გარდასცა მარტენს მწერლობის წარმომადგენელთა წინაშე წაკითხული ქაღალდი, რომელშიაც ნათქვამია, მოვედი იმის გასაგებად, თუ ჩვენი მამაცი მოწინააღმდეგე რა ნიადაგზე აფუძნებს თავის მოთხოვნილებას. საჭიროა არც-კია აღვნიშნო ჩემი მხურვალე სურვილი, რომ კეთილშობილ მოწინააღმდეგეებმა, რომელთაც ერთმანეთი პირველად ომის ველზე გაიცნეს, იპოვონ ერთმა მეორეში მიმზიდველი თვისებანი და მათ მეოხებით განამტკიცონ ნაცნობობა, ვიდრე მეგობრობა მომწიფდებოდეს. საჭიროა უპირველესად გავიგოთ იაპონიის მოთხოვნილება. პირობები უნდა გამოცხადდეს, რუსეთმა მათი მიღება შესაძლოდ უნდა იცნოს და მხოლოდ მაშინ შეგვიძლიან სამშვიდობო მოლაპარაკება დავიწყოთ. აქამომდე ჩვეულებად იყო, რომ ამისთანა პირობები წინდაწინვე უნდა გამორკვეულიყო და შემდეგ დაწყებულიყო რწმუნებულთა მოლაპარაკება, რომელთაც მინდობილი ჰქონდათ საქმის დამთავრება. მხოლოდ ის ერთი ფაქტიცკი, რომ ხელმწიფე დათანხმდა ჩვეულებრივ სადიპლომატო ჩვეულებას გზა აუქციოს და რწმუნებულთა დანიშვნა ინება, ცხადადა ხატავს იმ მეგობრულ გრძნობას, რომლითაც გამსჭვალულნი არიან მეფეცა და მისი ქვეშევრდომნიც შტატების ერისადმი. მე მინდა განვუცხადო თქვენს ერს და დავარწმუნო, რომ ხელმწიფე იმპერატორისა და რუსეთის ერის მხურვალე სურვილია—განმტკიცდეს მეგობრობა ამ ორ ერთა შორის. ამას ნათლად ამტკიცებს ის ფაქტი, რომ ხელმწიფე იმპერატორმა უკუაგდო ყოველი რიდი და დაუყოვნებლივ მიიღო მეგობრული მოწოდება თქვენი ქვეყნის პირველ მოქალაქისა. თუ რომ შუამდგომლობა უნაყოფოდ ჩაივლის ყოველ მხრივ და სამშვიდობო მოლაპარაკებისთვის ნიადაგს ვერ ვიპოვით, ის მეგობრული გრძნობა, რომელიც ხელმწიფემ და რუსეთის ერმა ცხადად გამოხატეს, მაინც აღბეჭდილი, მარად სანახსოვრო და კეთილ ნაყოფიერი იქმნება ორთავ ერისათვის—აღმოსავლეთისა და დასავლეთისა.

ავომორი. სახალინიდან მშვიდი ხალხი აქ მოდის. ადგილობრივი მოხელეები კარგად ეპყრობიან. მხოლოდ აფიცრები ჩივიან, რომ იარაღს ართმევენ. ხიროსაკში ტყვეებს ნებას არ აძლევენ თავის ცოლ-შვილი ინახულონ.

პარიზი. ნიუ-იორკის იაპონელთა კლუბში ბანკეტი იყო. კომურამ რუზველტი ადღეგრძელა და ისურვა, რომ იაპონიასა და ჩრდილო-ამერიკის შტატებს შორის მეგობრობა უფრო განმტკიცებულიყოს.

ნიუ-იორკი. ვიტტე მოვიდა და პირდაპირ უარჰყოფს, მე არასოდეს არ მითქვამს, ვითომც იაპონიის პირობები სრულიად მისაღები არ არის და ამიტომ კონფერენცია ერთს კვირაში დაიშლებაო.

მოჯი. შესაძლოდ მიაჩნიათ, რომ იაპონელები ამურის შესავალს ყუმბარებს დაუშენენ.

ახალი ბუხარა, 20 ივლისი. წუხელის გარდაიცვალა ბუხარის ემირის მოადგილე.

პეტერბურგი, 20 ივლისი. 19 ივლისს, ნაშუადღევის 2 საათ., დიდს სასახლეში, თვითონ ხელმწიფის თავმჯდომარეობით პირველი სხდომა ჰქონდა ბულიგინის საბჭოს; მონაწილეობას იღებდნენ მინისტრთა საბჭოს წევრნი და ხელმწიფის ბრძანებით საგანგებოდ მოწვეულნი სახელმწიფო წევრნი საბჭოსი, სენატორები და სხვანი. სანამ საბჭოს სხდომა დაიწყებოდა, დეკანოზმა იანიშევმა პარაკლისი გარდაიხადა და ამ ღირს-მნიშვნელოვან საქმეს წარმატება უსურვა. ამას შემდეგ ხელმწიფემ კეთილინება და განაცხადა, საქმეს შევუდგეთო და კრება დაიწყო. საბჭო შეუდგა საზოგადო საგნების განხილვას, სახელდობრ იმას, თუ როგორ შეუფარდონ 18 თებერვლის რესკრიპტს ბულიგინის პროექტი საკანონმდებლო განზრახულებათა განხილვაში ხალხის-მიერ არჩეულ წარმომადგენელთა მონაწილეობის მიღების შესახებ. ამ საგნის თაობაზე აზრების გაზიარების შემდეგ, საბჭო ბულიგინის პროექტის ცალკ ცალკე მუხლებად განხილვას შეუდგა.

ვანკუვერი (ვიქტორია), 21 ივლ. პოკატილოვი მოვიდა გემ „ექსპერს-სოფუჯან"-ით.

პეტერბურგი. დორპატის უნივერსიტეტმა საპატიო წევრებად ერთსა და იმავე დროს აირჩია სახელგანთქმული მწერალი ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოი და დეკანოზი იოანნე კრონშტადტელი, მაგრამ ამ უკანასკნელმა უარი განაცხადა,—ტოლსტოისთან ერთად არა მსურს დორპატის უნივერსიტეტის საპატიო წევრობა, რადგანაც სარწმუნოების შეურაცხყოფა იქნებოდაო.

გაზეთების სიტყვით, გრაფ იგნატიევის კომისია პრინციპიალურად წინააღმდეგია იმისი, რომ იქ, სადაც გაძლიერებული დებულება ან ომიანობის წესებია შემოღებული, გენერალ-გუბერნატორებს უფლება ჰქონდეთ მინიჭებული, თავიანთის შეხედულებით დასაჯონ მყუდროებისა და საზოგადოებრივ მშვიდობიანობის დამრღვევნი. ამ შემთხვევაში დამნაშავე, კომისიის აზრით, სასამართლომ უნდა გაასამართლოსო. საბუთოვის კომისიის საქმის წარმოების განყოფილებაში ამთავრებენ პროექტს იმის შესახებ, რომ დაარსებულ იქმნას ადგილობრივი ორგანოები ადმინისტრატიულ იუსტიციისა.

საერთო განათლების სამინისტროს განზრახვა აქვს, საშუალო სასწავლებლების მე-7 კლასებში გააუქმოს ბერძნულ ენის სწავლება და მის მაგივრად შემოიღოს ფილოსოფიისა და საკანონმდებლო მეცნიერების სწავლება.

სინოდი წინააღმდეგია მალოროსიულს ენაზე სახარების გამოცემისა.

ბერლინი, 20 ივლისი. ოფიციოზური „ზიუდდეიჩე კორესპონდენტ"-ი ამბობს,—ინგლისის ესკადრა რომ ბალტიის ზღვაში უნდა მივიდეს, ეს გერმანიის მართვა-გამგეობის სათავეში მდგომთ, იმაზე უფრო ადრეც იცოდნენ, ვიდრე „რეიტერის სააგენტო", რომელსაც საზოგადოდ დიდის ნდობით უყურებენ, რასმე გვაუწყებდაო, სახელდობრ—მაისშიაც იცოდნენო. როცა ინგლისის ფლოტის ბალტიის ზღვაში გაგზავნის საქმე გადაწყდა, მერე ჩვეულებრივად, დიპლომატიურის თავაზიანობით აცნობეს ეს ამბავი, სადაც ჯერ არს. ამ ფაქტს არავითარი დიდი პოლიტიკური სარჩული არ უდევს. თუ ინგლისის ესკადრა გზად გერმანიის წყლებში შემოივლის და გაჩერდება, შეუძლიან სრული იმედი ჰქონდეს, რომ გერმანია თავისს გულუხვ სტუმართ-მოყვარეობას არ მოაკლებს.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

გამოსადეგი ცნობანი

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა—კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი იგიტიანცი.

კუკიისა. ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა ექიმი კ. გძელიშვილი.

ხარფუხისა—ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი თათევოსიანცი.

დიდუბის განყოფილება. ექ. შჩერბინა

თვალის სამკურნალო—კრილოვის ქუჩა, ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევა'. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ასტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულუღიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი ელემიანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

ВЪ ЦЕНТРАЛЬНОЙ КНИЖНОЙ ТОРГОВЛѢ въ Тифлисѣ, поступили въ продажу новыя книги:

ДЖАВАХОВЪ. Изслѣдованіе о государственномъ строѣ древней Грузіи и древней Арменіи. С. П. 1905 г. ц. 1 р. 35 к. перес. 25 к.

МИРОШЕВЪ. О положеніи Русскихъ инородцевъ. С. П. ц. 2 р. перес. 40 к.

РОМАНОВСКІЙ. Государственныя учрежденія древней и новой Россіи, изд. 2-ое исправленное и значительно дополненное. Т. 1905 г. ц. 2 р. перес. 40 к.

Его же. Очеркъ изъ исторіи Грузіи. Т. 1902 г. ц. 3 р. перес. 40 к.

ЧАЛХУШЬЯНЪ. Армянскій вопросъ въ Россіи. Р. ц. 10 к. перес. 9 к.

ხუთი ახალი წიგნი

წიგნის მაღაზია „ცოდნა"-ს გამოცემა

სამშობლოსათვის [illegible] . 40 კ.
რუსეთის [illegible] . 20
ათი მოთხრობა ივ. მაჭავარიანისა . 20
ხალხური [illegible] . 10
იაპონია. ნ. ნიკოლაძისა . 20

დახატული ქართველ მოღვაწეთა სურათები.

შოთა რუსთაველისა, დიდი 50 კ., პატარა 40 კ., ილია ჭავჭავაძისა 45 კ., რაფიელ ერისთავისა 40 კ., ნ. ბარათაშვილისა 30 კ., გიორგი წერეთლისა 30 კ., ვაჟა-ფშაველასი 30 კ., გიორგი ნინოშვილისა 30 კ., ჯგუფი ქართულ მწერლებისა 75 კ., ჯგუფი ათი [illegible] 1 მ. 20 კ., [illegible] 1 მ. 50 კაპ. და სხვა.

და სხვა უფასოებიანი წიგნები.

მოსამართ: ტფილისი, წიგნის მაღაზია „ცოდნა". სოლოლაკი, [illegible] (20—12)

საჭირო და ყოველთვის საჭირო [illegible]

უცხო სიტყვათა ლექსიკონი,

შედგ. ი. იმედაშვილისა. [illegible] 1 მ. [illegible] 1—50.
Тифл., книжн. торг. Іос. Зах. Имедашвили.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 21 іюля 1905 г.

ელექტრომბეჭდავი „ჩინარი", ფრეილინის ქ., № 5.